პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

№ 115 (20811) — ოთხშაბათი, 16 მაისი, 1990 წელი. — ფასი 3 კაპ.

გუშინ თბილისში, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სხდომათა დარბაზში, მუშაობას შეუდგა საქართველოს კომპარტიის XXVIII ყრილობა.

ყრილობის დელეგატები განიხილავენ გარდამავალ პერიოდში პარტიულ-პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობის არსებითი გარდაქმნის აქტუალურ პრობლემებს.

თბილისი. 1990 წლის 15 მაისი. საქართველოს კომუნისტური პარტიის XXVIII ყრილობა.

ზვიი კიკვაძის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

საბჭოთა კავშირის პრეზიდენტის ვიზიტები

კანადის მთავრობის მიწვევით, საბჭოთა კავშირის პრეზიდენტი მ. ს. გორბაჩოვი ამა წლის 29-30 მაისს ოფიციალურ სახელმწიფო ვიზიტად ჩავა კანადაში.

როგორც უკვე ვიუწყებოდით, მ. ს. გორბაჩოვი ეწვევა ამერიკის შეერთებულ შტატებს. სახელმწიფო ვიზიტის დროს, რომელიც 30 მაისიდან 4 ივნისამდე გასტანს, მას ვაშინგტონში მოლაპარაკება ექნება ამერიკის პრეზიდენტთან ჯ. ბუშთან, შემდეგ კი ხანმოკლე მოგზაურობას მოაწყობს ამ ქვეყანაში.

ჩამოვიდა ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის პრეზიდენტი

სსრ კავშირის პრეზიდენტის მოწვევით 14 მაისს მოსკოვში ოფიციალურ მეგობრულ ვიზიტად ჩამოვიდა ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის პრეზიდენტი ჰოსნი მუბარაქი.

ვნუკოვოს აეროდრომზე ჰ. მუბარაქს დახვდნენ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ე. ა. შევარდნაძე, სსრ კავშირის პრეზიდენტის საბჭოს წევრი ე. მ. პრიმაკოვი, სხვა ოფიციალური პირნი.

აეროდრომიდან ავტომანქანების კორტეჟი მოტოციკლისტთა ესკორტითურთ კრემლისკენ გაემართა.

* * *

კრემლში გაიმართა ეგვიპტელი სტუმრის შეხვედრის ოფიციალური ცერემონია. ჰ. მუბარაქსა და მის მეუღლეს მიესალმნენ სსრ კავშირის პრეზიდენტი მ. ს. გორბაჩოვი და მისი მეუღლე.

გაიმართა მ. ს. გორბაჩოვისა და ჰ. მუბარაქის ხანმოკლე საუბარი.

(საკინფორმი).

საინფორმაციო ცნობა

საქართველოს კომუნისტური პარტიის XXVIII ყრილობის შესახებ

15 მაისს თბილისში მუშაობას შეუდგა საქართველოს კომუნისტური პარტიის XXVIII ყრილობა.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დავალებით, ყრილობა გახსნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა გ. გ. გუმბარიძემ. მან განაცხადა, რომ არჩეულია ყრილობის 728 დელეგატი. ესწრება 699, საპატიო მიზეზით არ ესწრება 29 დელეგატი.

ირჩევენ ყრილობის ხელმძღვანელ ორგანოებს — პრეზიდიუმს, სამდივნოს, სამანდატო და სარედაქციო კომისიებს.

მტკიცდება ყრილობის დღის წესრიგი, მასში შეტანილია შემდეგი საკითხები:

1. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ანგარიში გარდაქმნის მიმდინარეობისა და რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციათა ამოცანების შესახებ.
2. საქართველოს კომპარტიის სტატუსი.
3. საქართველოს კომპარტიის სარევიზიო კომისიის ანგარიში.
4. არჩევნები:

ა) საქართველოს კომპარტიის ხელმძღვანელი ორგანოებისა;

ბ) სკკპ XXVIII ყრილობის დელეგატებისა.

მტკიცდება ყრილობის მუშაობის რეგლამენტი.

ცხადდება თბილისის, ქუთაისის, გორის, რესპუბლიკის მრავალი სხვა ქალაქისა და რაიონის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის პარტიული ორგანიზაციების წარმომადგენელ და ცალკეულ დელეგატთა წინადადება მოისმინონ მოხსენება დღის წესრიგის პირველ ორ საკითხზე და მის გამო აზრთა გაზიარების შემდეგ შეიმუშაონ ყრილობის პოზიცია საქართველოს კომპარტიის სტატუსთან დაკავშირებით, აირჩიონ სკკპ XXVIII ყრილობის დელეგატები. მერე დროებით შენყვიტონ ყრილობის მუშაობა და განაახლონ იგი კომუნისტთა საკავშირო ფორუმის დამთავრების შემდეგ. ხოლო შუალედში, თუ ასეთი გადაწყვეტილება მიღებული იქნება, ნაგარაუდევია პარტიულ პრესაში გამოქვეყნდეს საქართველოს კომუნისტური პარტიის პროგრამისა და ორგანიზაციულ-სტრუქტურული აგებულების ძირითად დებულებათა პროექტი, მოეწყოს მისი ფართო განხილვა პირველად, რაიონულ, საქალაქო და საოლქო პარტიულ ორგანიზაციებში. გამოთქმული კრიტიკული შენიშვნებისა და წინადადებების გათვალისწინების მიზნით ყრილობის სარედაქციო კომისია შეძლებდა განეგრძო მუშაობა ამ დოკუმენტებზე.

გამოითქვა აგრეთვე წინადადება ყრილობაზე მისი დელეგატებისაგან შეიქმნას საქართველოს კომპარტიის არჩევითი ორგანოების შემადგენლობის, საქართველოს კომპარტიის საარჩევნო პლატფორმის, რეზოლუციისა და ყრილობის სხვა დოკუმენტების მომზადების შესახებ წინადადებათა შემმუშავებელი კომისიები.

მოხსენება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ანგარიშის გამო გარდაქმნის მიმდინარეობისა და რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციათა ამოცანების შესახებ და საქართველოს კომპარტიის სტატუსის საკითხზე გააკეთა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა გ. გ. გუმბარიძემ.

კამათში განსახილველი საკითხების, აგრეთვე საქართველოს კომპარტიის სარევიზიო კომისიის ანგარიშის გამო, რომელიც დელეგატებს დაურიგდათ, გამოვიდნენ საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი, თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს თავმჯდომარე ნ. მ. ლეკიშვილი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივნის მოვალეობის შემსრულებელი რ. ვ. მეტრეველი, თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო საწარმოო გაერთიანების საამქროს ოსტატი ს. ლ. ლომიძე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ა. ჟვანია, საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ვ. ფ. ხიშბა.

ყრილობამ დაამტკიცა სამანდატო კომისიის მოხსენება.

განახლებულ კამათში მონაწილეობდნენ გამომცემლობა „მეცნიერების“ დირექტორი გ. ე. გვერდწითელი, საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი თ. ს. ხახვა, საქართველოს კომპარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი, ქუთაისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე თ. გ. შაშიაშვილი, სამხრეთ ოსეთის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ა. ა. კაზმაზოვი, გაზეთ „კომუნისტის“ რედაქტორი მ. გ. უგრეხელიძე, საქართველოს კომპარტიის გორის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ა. ი. კაკაბაძე, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის კათედრის გამგე მ. დ. ლორთქიფანიძე, საქართველოს კომპარტიის ახალციხის რაიკომის პირველი მდივანი თ. შ. მოსიაშვილი, ამიერკავკასიის ნიმეთელდროშოვანი სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი ვ. ა. პატრიკეევი, გამომცემლობა „საქართველოს“ დირექტორი ჯ. ა. ჩარკვიანი, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტეკონომიის კათედრის პროფესორი ბ. ბ. კალანდია, გარდაბნის მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი მ. რ. ბასანოვი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი ა. მ. აფაქიძე, საქართველოს კომპარტიის დმანისის რაიკომის პირველი მდივანი ო. ი. ელოშვილი, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი გ. რ. ბარამიძე, გაზეთ „ხორპრდაინ ვერსტანის“ რედაქტორი ვ. ვ. ბაიბურთი, საქართველოს კომპარტიის ზუგდიდის რაიკომის პირველი მდივანი გ. ი. გუნავა, თბილისის ავეჯის საწარმოო გაერთიანება „განთიადის“ პარტკომის მდივანი ზ. ნ. ვაშაძე, თბილისის საწარმოო გაერთიანება „ელმავალმშენებლის“ გენერალური დირექტორი ზ. დ. ჩიკვაძე.

საქართველოს კომპარტიის სარევიზიო კომისიის მისამართით შემოსულ კითხვებს უპასუხა ამ კომისიის თავმჯდომარემ ზ. გ. გეჩაძე.

შემდეგ დელეგაციათა წარმომადგენლების თათბირის წინადადებით, რომელმაც ალტერნატიულ საფუძველზე განიხილა საქართველოს პარტიული ორგანიზაციისაგან სკკპ XXVIII ყრილობის დელეგატობის კანდიდატთა შემადგენლობა, ყრილობა შეუდგა დელეგატების არჩევას.

16 მაისს ყრილობა მუშაობას განაგრძობს.

(საკინფორმი).

გარდაქმნის მიმდინარეობის, რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციათა ამოცანებისა და საქართველოს კომპარტიის სტატუსის შესახებ

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის გ. გ. გუმბარიძის პოლიტიკური მოხსენება საქართველოს კომუნისტური პარტიის XXVIII ყრილობაზე

ამხანაგებო!

საქართველოს კომუნისტური პარტიის მორიგი, XXVIII ყრილობა უაღრესად რთულ, სპასუხისმგებლო, შეიძლება ითქვას, გარდამტეხ დროს შეიკრიბა. რადიკალურად იცვლება ჩვენი საზოგადოების პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური სახე, ტრადიციული ღირებულებები და წარმოდგენები, იწყება თვისებრივად სრულიად ახალი ეტაპი საქართველოს, ჩვენი ხალხის, რესპუბლიკაში მცხოვრები ყველა ადამიანის ცხოვრებაში. ყოველივე ეს, ბუნებრივია, საგანგებოს, განსაკუთრებულს, ისტორიულს ხდის ჩვენს დღევანდელ ყრილობას. მნიშვნელოვანწილად სწორედ მისმა გადაწყვეტილებებმა უნდა განსაზღვრონ ახლო და შორეული პერსპექტივაში არამარტო საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიული ბედი, არამედ, რაც მთავარია, დემოკრატიული, სუვერენული, განახლებული საქართველოს მომავალი.

ამ არაორდინარული, მრავალმხრივი, ურთულესი და უძნელესი ამოცანების ტოლფასი უნდა იყოს ყრილობის მიერ თავისი პასუხისმგებლობის შეგნება, მისი აზროვნების სიღრმე და მასშტაბურობა, პოლიტიკური სიბრძნე და შორსმჭვრეტელობა, ჩვენი წინაალმდეგობრივი, პლურალისტური საზოგადოების შეცნობის უნარი. ეს თითოეული დელეგატისაგან უმაღლეს პასუხისმგებლობას მოითხოვს. მტკიცედ უნდა ვიდგეთ ჭეშმარიტ მოქალაქეობრივ პოზიციაზე, კარგად უნდა ავწონ-დავწონოთ ყოველი სიტყვა, ყოველი ნაბიჯი, უნდა გავაკეთოთ ერთადერთი სწორი, შეუმცდარი არჩევანი.

ახლა ამოცანა პრინციპულად მხოლოდ ერთმნიშვნელოვნად დგას. კოლექტიური ნებით უნდა განვსაზღვროთ, როგორი იქნება ხვალინდელი საქართველო, როგორ პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ, ზნეობრივ მემკვიდრეობას მოვუმზადებთ მომავალ თაობებს. აქვე გულმართლად, გულახდილად, მთელი პასუხისმგებლობით უნდა ითქვას, შეძლებს თუ არა რესპუბლიკის კომპარტია, თითოეული კომუნისტი აქტიურად გამოიყენოს თავისი ინტელექტუალური პოტენციალი, რადიკალურად განახლოს და ახალ ობიექტურ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ რეალიებს შეუსაბამოს თავისი პროგრამული მიზნები და საქმიანობა, იყოს გარდაქმნითა და საჯაროობით გამოწვეული საზოგადოებრივი პროცესების შემოქმედი და ინიციატორი, ხალხის ინტერესების ჭეშმარიტი გამომხატველი. დღეს საქართველოში მხოლოდ ის პოლიტიკური პარტია შეძლებს თავისი პლატფორმის გარშემო მოსახლეობის ყველა ფენისა და ჯგუფის, ჩვენი მუშათა კლასის, გლეხობის, ინტელიგენციის, ახალგაზრდობის, მთელი საზოგადოების გაერთიანებას, მათ შეკავშირებასა და საერთო მიზნებისაკენ წარმართვას, რომლის პროგრამული დებულებები ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებს, ჰუმანიზმის, დემოკრატიის, ეროვნული და სოციალური თავისუფლებისა და სამართლიანობის იდეალებს ემყარება, ვინც ცივილიზებული მეთოდებით იბრძოლებს დემოკრატიული, სუვერენული, სამართლებრივი საქართველოსათვის და ღირსეულ ადგილს მოუპოვებს მას მსოფლიო ხალხთა დიდ ოჯახში.

ახლა საქართველოს კომუნისტური პარტია ყველაზე გამოცდილი, იდეოლოგიურად და სტრუქტურულად ორგანიზებული, მასობრივი პოლიტიკური ძალაა რესპუბლიკაში. იგი თავის რიგებში 400 ათას ადამიანს, რესპუბლიკის ინტელექტუალური და საწარმოო პოტენციალის უდიდეს ნაწილს აერთიანებს. ბუნებრივია, ჩვენი საზოგადოების პოლარიზაციის პირობებში მას შესაბამისი პასუხისმგებლობა ეკისრება ჩვენი ხალხის, მთელი ერისა და საზოგადოების წინაშე. უფლება არა გვაქვს, არ შევინარჩუნოთ და არ ვამრავლოთ ეს უდიდესი მატერიალური, სულიერი და ზნეობრივი პოტენციალი. არ ჩავაყენოთ იგი პარტიის, საზოგადოების, მთელი რესპუბლიკის რადიკალური განახლების სამსახურში.

ცენტრალურ კომიტეტს დღევანდელ ყრილობაზე განსახილველად გამოაქვს საქართველოს კომუნისტური პარტიის ძირეული იდეოლოგიური, ორგანიზაციული და სტრუქტურული განახლების მასშტაბური პროგრამა. ყრილობამ უთუოდ უნდა გამიმეოროს, ყოველმხრივ გააზრებული პოლიტიკური ფორმულები, სტრატეგია და ტაქტიკა, იპოვოს ისეთი ოპტიმალური გადაწყვეტილებანი, რომლებიც შეესაბამება რესპუბლიკის საზოგადოებრივ-პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური, კულტურული და ეროვნული განვითარების საარსებო ინტერესებს. ამასთან არასგზით არ უნდა შეგვიპყროს პოლიტიკურმა ამბიციებმა და ილუზიებმა, წუთიერმა კონიუნქტურულმა განწყობილებებმა. ალტერნატივა არ არსებობს — პოზიცია მხოლოდ და მხოლოდ რეალისტური, კონსტრუქციული უნდა იყოს, ყოველმხრივ ითვალისწინებდეს ისტორიის ობიექტურ მსვლელობას, ცაინოზმთიერებას.

აუცილებელია ნამდვილი პლურალიზმისა და საზოგადოებრივი ინტერესების ბალანსის საფუძველზე შევიმუშაოთ პრინციპები, რომლებიც უზრუნველყოფენ პარტიის მთლიანობას, გაერთიანებენ და შეაკავშირებენ ჩვენს პარტიულ რიგებს, თავიდან აგვაცილებენ კომუნისტთა გათიშვას, მთა გამიჯვნას, როგორი ნიშნით, მოტივითა თუ მიზეზით არ უნდა იყოს ეს ნაკარნახევი. არასგზით არ უნდა დავუშვათ ძალების დაქსაქსვა-დაპირისპირება. ეს უმძიმესი დარტყმა იქნებოდა დემოკრატიზაციისადმი, გარდაქმნისადმი, რესპუბლიკის მთლიანობისადმი.

ჩვენი ყრილობა ფაქტობრივად დღეს არ დაწყებულა. პრაქტიკულად იგი ერთი თვეა მიმდინარეობს. მარტო ამ ბოლო ათი დღის განმავლობაში პარტიის ცენტრალურ კომიტეტში 20-ზე მეტი შეხვედრა მოეწყო. მასში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნები, ბიუროს წევრები, აპარატის პასუხისმგებელი მუშაკები, ჩვენი პარტიული აქტივი, მუშათა კლასის, გლეხობის, მეცნიერებისა და შემოქმედებითი ინტელიგენციის, ახალგაზრდობის, ფართო საზოგადოებრიობის წარმომადგენლები. გაიმართა აზრთა გაზიარება, იყო მეტად მწვავე, პრინციპული დისკუსიები, თავისი მოსაზრებები და პოზიციები გამოხატა ყრილობის თითქმის 300-მა დელეგატმა. არავინ არ იყო შეზღუდული რეგლამენტით, ყველას ჰქონდა თავისი შეხედულებების თავისუფლად და სრულად გამოთქმის საშუალება. შესაძლოა, ზოგიერთ ამხანაგს წინასაყრილობო მუშაობის, წინასაყრილობო შეხედულებების ასეთი შეფასება გაზვიადებად მოეჩვენოს, მაგრამ მაინც გვინდა იმის თქმა, რასაც რამდენადაც ვიცით, ჩვენი პარტიული აქტივის უმეტესობა იზიარებს, რომ დღეს მთავარია კონსტრუქციული დისკუსიების, დიალოგის, აზრთა თავისუფალი გაცვლის პროცესში უკეთ გავიაზროთ ჩვენი პოზიციები, უკეთ გამოვაშუქოთ რთული საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროცესებით წამოჭრილი პრობლემების წანაგები, ერთობლივად ვეძიოთ რესპუბლიკის კომპარტიისა და მთლიანად საზოგადოების წინაშე მდგარი ამოცანების გადაწყვეტისაკენ სწორი პოლიტიკური მიდგომა.

რესპუბლიკის კომპარტია უკვე ერთ წელზე მეტია, რაც უჩვეულო, არაორდინარულ ვითარებაში მუშაობს. უკიდურესად პოლიტიზებული და გაკეტილურებულია არა მარტო ჩვენი პარტიული რიგები, არამედ მთელი საზოგადოებაც. ამიტომ, ცხადია, ყრილობის ტრადიციულად ჩატარების ფორმები არანაირად არ შეესაბამება საზოგადოებრივი ცხოვრების დინამიზმს, პოლიტიკური სტრუქტურების მობილურ მოდელებს.

ისიც ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ განსაკუთრებულ იმედებს ვამყარებთ თვით ყრილობაზე. უშუალო, პარტიული თანამშრომლობისა და კეთილმოსურნეობის ვითარებაში უნდა გავუზიაროთ ერთმანეთს შეხედულებები, ვეძებოთ კონსტრუქციული მიდგომები, ალტერნატიულ მოსაზრებათა შეხების წერტილები, მათი ურთიერთგამდიდრების შესაძლებლობები. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში იქნება ყრილობაზე მიღებული გადაწყვეტილებები ყოველმხრივ მოფიქრებული და აწონ-დაწონილი, დელეგატთა საერთო აზრის, საერთო - პოზიციის გამომხატველი, საქართველოს კომუნისტთა საერთო პოზიციის გამომხატველი. ყრილობამ ობიექტურად უნდა გააანალიზოს ამ დროს რესპუბლიკაში მიმდინარე საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროცესები. პირუთვნელი შეფასებებისა და დასკვნების გარეშე ვერ შევძლებთ ჩვენი სამომავლო ამოცანების სწორად განსაზღვრას, საიმედო სტრატეგიისა და ტაქტიკის შემუშავებას.

I.

დემოკრატიზაციამ და საჯაროობამ, პლურალიზმმა, და ფაქტობრივმა მრავალპარტიულობამ, რაც მთავარია, ეროვნულ-სახელმწიფოებრივი განვითარების პრობლემებისაკენ მკვეთრად შემობრუნებამ არსებითად შეცვალა საქართველოს კომპარტიის პოლიტიკური პორტრეტი, რადიკალურად განაახლა მისი ფუნქციები, საქმიანობის სტილი და მეთოდები. ამ თვალსაზრისით საანგარიშო პერიოდი შეიძლება უაღრესი სიზუსტით ორ მკაფიოდ გამოხატულ ეტაპად დავყოთ.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის 1985 წლის აპრილის პლენუმმა გზა გაუკაფა პარტიისა და ქვეყანაში გარდაქმნის, საჯაროობისა და დემოკრატიზაციის პროცესებს. ამ ნიშნით უნდა ჩაეარა საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობას, რომელიც 1986 წლის იანვარს გაიმართა. საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარების განვითარების დინამიკა თვალნათლად მოწმობდა საზოგადოებრივი და ეროვნული თვითშეგნების გამოღვიძების გარდაუვალობას, საშიშ სიმძაფრეს იძენდა ბევრი მომწიფებული საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ეროვნული პრობლემის მოუგვარებლობა, სულ უფრო ცხადი ხდებოდა, რომ დაუყოვნებლივ უნდა დაწყებულიყო წამოჭრილი წინააღმდეგობათა პოლიტიკური გადაწყვეტის, პარტიისა და საზოგადოების საჯაროობისა და დემოკრატიზაციის პროცესებს. ამ ნიშნით უნდა ჩაეარა საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობას, რომელიც 1986 წლის იანვარს გაიმართა. საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარების განვითარების დინამიკა თვალნათლად მოწმობდა საზოგადოებრივი და ეროვნული თვითშეგნების გამოღვიძების გარდაუვალობას, საშიშ სიმძაფრეს იძენდა ბევრი მომწიფებული საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ეროვნული პრობლემის მოუგვარებლობა, სულ უფრო ცხადი ხდებოდა, რომ დაუყოვნებლივ უნდა დაწყებულიყო წამოჭრილი წინააღმდეგობათა პოლიტიკური გადაწყვეტის, პარტიისა და საზოგადოების საზრებათა შეხების წერტილები, კონსტრუქციული დიალოგის მექანიზმის ძიება. სამწუხაროდ, ეს ასე არ მოხდაო. ზოგიერთმა პარტიულმა ორგანიზაციებმა და ხელმძღვანელებმა თავი საზოგადოებაზე მაღლა დააყენეს და ახალ მოთხოვნებს მხოლოდ სხვებს უყენებდნენ, საკუთარი თავი კი მხედველობის გარეშე რჩებოდათ.

ახალ რეალობასთან პოლიტიკური ხელმძღვანელობის სტილისა და მეთოდების შეუსაბამობის პირველმა შემაშფოთებელმა სიმპტომებმა ჯერ კიდევ 1988 წლის მაისში, შემდეგ კი ნოემბერში იჩინეს თავი. ბევრი უკიდურესად ცალმხრივად, ტენდენციურად აღიქვამდა საბჭოთა კავშირის კონსტიტუციის ცვლილებებისა და დამატებების პროექტის განხილვის დროს გამართულ საპროტესტო აქციებს, მიტინგებსა და მანიფესტაციებს. ისეთებიც საკმაოდ იყვნენ, ვისაც ყველაფერი ეს ექსტრემიზმისა და ნაციონალიზმის გამოვლინებად მიაჩნდა. ბევრმა პარტიულმა ხელმძღვანელმა ვერ გაიგო, რომ ეს საპროტესტო აქციები რესპუბლიკაში გარდაქმნის პროცესების დამუხრუჭების გამო საერთო დაუკმაყოფილებლობასაც გამოხატავდნენ. სრულიად უნიადაგო იყო მიტინგებისა და დემონსტრაციების, რადაც უნდა დაჯდომოდათ, თავიდან აცილების ცდები, კრიტიკისა და თვითკრიტიკაზე, დემოკრატიული განვითარების ფორმების არჩევაზე განეცხადებინათ მონოპოლიური პრეტენზიები.

(გაგრძელება 55-ე გვ.).

გარდაქმნის მიმდინარეობის, რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციათა ამოცანებისა და საქართველოს კომპარტიის სტატუსის შესახებ

(გაგრძელება)

გახშირდა ცდები „განეხორციელებინათ“ ტოტალიტარული, მბრძანებლურ-ბიუროკრატიული მეთოდებით. სულ უფრო იზრდებოდა ძალისმიერი ზეგავლენა აზრებისა და გრძნობების არასანქციონირებულ გამოვლინებებზე, ოფიციალური აზრი და კურსი სულ უფრო შორდებოდა დემოკრატიულად განწყობილი საზოგადოებრიობის მოლოდინს.

ბევრი ნაბიჯი აშკარა დაგვიანებით, უაღრესად საშიშ სიტუაციაში, გარემოებათა ზემოქმედებით გადაიდგა. ეს ავტორიტეტს არ მატებდა კომპარტიას. მხედველობაში გვაქვს დისკუსია კავკასიონის საუღელტეხილო რკინიგზის მშენებლობის გამო, დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსიდან სასწავლო პოლიგონის გადატანაზე, საზოგადოებრიობის წინადადებებს, ჩვენი ისტორიისათვის დაგვებრუნებინა ზოგიერთი თარიღი და მოვლენა, იმ საზოგადო მოღვაწეთა და მწერალთა სახელები, რომლებიც დიდხანს უსამართლოდ იყვნენ მივიწყებულნი.

ისტორიული თარიღები არ ქრებიან ხალხის მეხსიერებაში ვისიმე ახირებით. როცა ვცდილობთ დავიიწყოთ ისინი ხალხს, მოვაცილოთ ისინი ქართული სახელმწიფოებრიობის ათასწლოვან ტრადიციებსა და იდეებს, ამით ჩვენსავე თავს, ჩვენსავე მომავალს ვაცლით სულიერ და ზნეობრივ საყრდენებს, ვარღვევთ ისტორიულად ჩამოყალიბებული პოლიტიკური ორიენტაციის მემკვიდრეობითობას, რომლის დაცვას მოხმარდა ათობით თაობის პოლიტიკური და მხედრული ეწერგია.

რესპუბლიკის პოლიტიკურ ხელმძღვანელობას არ სურდა თავისი იდეოლოგიური არსებულიდან ამოეღო მრავალი სტერეოტიპი და ამით იგი ადამიანებს უბიძგებდა ემოციურ ტალღაზე წარმოქმნილი გრძნობებისა და განწყობილებების უკიდურესი გამოვლინებისაკენ, ხელიდან იქნა გაშვებული პოლიტიკური ინიციატივა, სულ უფრო ღრმავდებოდა დაპირისპირება, მწვავდებოდა და კრიტიკულ ზღვარს აღწევდა საერთო ვითხრება.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XIV პლენუმმა ღრმა ანალიზის საფუძველზე გამოიტანა დასკვნა, რომ რესპუბლიკის პოლიტიკური ხელმძღვანელობის თვით სტილსა და მეთოდებში იყო ჩადებული ის ელემენტები, რომლებმაც საბოლოო ანგარიშით განაპირობა პრობლემების გადაჭრის ძალისმიერი ხერხების გამოყენება.

9. აპრილის ტრაგედიამ გააშიშვლა რესპუბლიკაში მომწიფებული პოლიტიკური კრიზისი, შეუვალი მიჯნა გაავლო ჩვენს შეგნებასა და აზროვნებაში, არსებითად შეცვალა ჩვეული წარმოდგენები და სტერეოტიპები. ყოველივე ეს უდიდესი ზნეობრივი განსაცდელია და დანაკარგების ფასად მოხდა.

საბჭოთა კავშირის სახალხო დეპუტატთა მეორე ყრილობაზე საქართველოს დეპუტაციამ მკაფიოდ გამოხატა ჩვენი ხალხის პოზიცია: შეიძლებოდა და კიდევაც უნდა აგვეცილებინა თავიდან თბილისში მომხდარი ტრაგედია. არავითარი გამართლება არა აქვს მის საზარელ შედეგებს. მთავრობის სახლთან გამართული მიტინგის აღკვეთის ზომები არ იყო მისი ხასიათის ადეკვატური და გაცილდა ყველა დასაშვებ ზღვარს და საკუთარ ხალხთან სამარცხვინო შეტაკებაში გადაიზარდა.

ამ მიტინგზე გამოჩენილი უკიდურესი ლოზუნგები და მოწოდებები, ზედმეტი ემოციური დაძაბულობა, უწინარეს ყოვლისა, გარდაუვალი საზიანი იყო მრავალი წლის განმავლობაში დაგროვილი უზნეო პასიურობისათვის, ერების შერწყმისა და კვდომის, კულტურებისა და ენების შეერევის ყბადაღებული თეორიებისათვის, დემაგოგიური ლოზუნგებისა და სტერეოტიპებისათვის, რომლებსაც ქვეყანა პოლიტიკურ და ეკონომიკურ ჩიხში შეჰყავდა, ეროვნული და მოქალაქეობრივი დაუცველობის გრძნობას წარმოშობდა.

თბილისის ამბებთან დაკავშირებული კონკრეტული პირებისა და ორგანოების მოქმედებას უკვე მისცა შეფასება საქართველოს უზენაესი საბჭოს საპარლამენტო კომისიამ, საბჭოთა კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობამ, რომელმაც არაორაზროვნად დაგმო საკუთარი ხალხის, მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ ყოვლად გაუმართლებელი ძალადობა. ამასთან არსებითი როლი შეასრულა დეპუტატთა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრინციპულმა პოზიციამ. აღრეც არაერთხელ აღვნიშნეთ, მათ შორის პლენუმზეც, მივეცით შეფასება და დღესაც გვინდა გავიმეოროთ, რომ მომხდარი ამბიდან ჩვენ ყველამ მივიღეთ მძიმე გაკვეთილი და გამოვიტანეთ ამომწურავი დასკვნები. არ შეიძლება ხალხს ელაპარაკო ტანკებსა და ჯავშანტრანსპორტორებს ამოფარებული. საჭიროა მუდმივი კონტაქტი საზოგადოების ყველა ფენასთან, თუნდაც ყველაზე რადიკალურად განწყობილებთან, საქმე შეეხება ყველა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ გაერთიანებასთან მუდმივ კონსტრუქციულ დიალოგსა და თანამშრომლობას. საჭიროა მაღალი თვითდისციპლინა, მოქალაქეობრივი და პოლიტიკური პასუხისმგებლობა, კონსოლიდაცია კონსტრუქციულ საფუძველზე, რომელიც ითვალისწინებს ეკონომიკური, სოციალური და ეროვნული პრობლემების მთელ სპექტრს. სწორედ მომწიფებული ეროვნული პრობლემების გადაჭრა უნდა გახდეს და ხდება კიდეც რესპუბლიკის კომპარტიის საქმიანობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტული მიმართულება.

უდავოა, ეროვნულ პოლიტიკაში მძიმე მეკვიდრეობას, სერიოზული დეფორმაციების გამო, რომელიც დაშვებული იყო რევოლუციის შემდგომ წლებში, პიროვნების კულტის ეპოქაში თუ უძრაობის პერიოდში, საქართველოში, მის ცალკეულ რეგიონებსა და ავტონომიურ ფორმირებებში ეროვნულ ურთიერთობაში მიმდინარე პროცესები არ ყოფილა სრული მოულოდნელობა. საქმე ის არის, რომ ისინი გააღრმავეს, თანამედროვე რეალებით, უწინარეს ყოვლისა, ძალებმა, რომლებიც არ არიან დაინტერესებული ეროვნებათშორის ურთიერთობაში წარმოქმნილ სიძნელეთა დაძლევით. სხვადასხვა ეროვნების ადამიანთა სიმშვიდე და სამოქალაქო მშვიდობა, კონსოლიდაცია და ერთიანობა პრივილეგიების, კომფორტული არსებობის დაკარგვით ემუქრება მათ. ვითარების დესტაბილიზაციისათვის ისინი ყველაზე მარტივ გზას იყენებენ — თამაშობენ ეროვნულ გრძნობებზე, აღვივებენ სეპარატისტულ განწყობილებებსა და ექსტრემიზმს.

შემთხვევითი რაღაა, რომ ვითარების ყოველგვარი გართულების დროს რესპუბლიკის პოლიტიკურ ხელმძღვანელობას უბიძგებდნენ იმისაკენ, რომ ექსტრემალური ზომები მიეღო, გამოეცხადებინა საგანგებო წესები, კომენდანტის საათი, როცა აღარ მოქმედებენ დემოკრატიული პრინციპები, პრობლემების გადაჭრის პოლიტიკური მეთოდები. რესპუბლიკის პარტიორგანიზაციები არ აჰყენენ ამ მოწოდებებს, რომლებსაც შეიძლება შორს მიმავალი შედეგები მოჰყოლოდა.



II.

მაინც, რაში გამოიხატება განახლებული საქართველოს კომპარტიის პოლიტიკური პროგრამის, მიზნებისა და ამოცანების არსი?

როგორ პოზიციებზე დგას საქართველოს კომპარტია ეროვნული განვითარების დარგში, რა გავაკეთეთ, რა უნდა გავაკეთოთ ხვალ და ზეგ? ესაა კითხვა, რომლის პასუხსა და კონკრეტულ საქმეებზე ბევრადაა დამოკიდებული პარტიის ბედი, მისი მომავალი, მნიშვნელოვანწილად საქართველოს პერსპექტივები. სწორედ ამ პრიზმით უნდა შევაფასოთ საანგარიშო პერიოდში გაწეული მუშაობაც, უახლოესი და შორეული გეგმებიც.

ამ სფეროში საქართველოს კომპარტიის პროგრამული მიზანდასახულობანი ასახულია ეროვნული განვითარების კონცეფციაში, რომელიც ცენტრალურმა კომიტეტმა საზოგადოებრიობის, მეცნიერებისა და სპეციალისტების, მშრომელთა ფართო მასების მონაწილეობით შეიმუშავა. საყოველთაო აღიარებით, საქართველოს კომპარტიის ისტორიაში ეს უპრეცედენტო დოკუმენტია, რომელიც ყოველმხრივ განხილვის შემდეგ დამტკიცა ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა. მიუხედავად ამისა ეს დოკუმენტი ღიაა ახალი შენიშვნებისათვის, ჩვენ კიდევ ვიღებთ შესაბამის წინადადებებს. მაგალითად, საინტერესო მოსაზრებები მოგვაწოდეს ქუთაისის პარტიული ორგანიზაციიდან.

ნიშანდობლივია, რომ კონცეფციის პირველ პუნქტად ჩაწერილია: ეროვნული თავისუფლებისა და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისაკენ სწრაფვა თითოეული ცივილიზებული ერის წმიდათაწმიდა უფლება და უზენაესი ზნეობრივი მოვალეობაა. ამიტომ, თავისი საპროგრამო მიზნებიდან გამომდინარე, დემოკრატიული საზოგადოებისაკენ მიმავალ მაგისტრალურ გზად საქართველოს კომპარტიას სუვერენული საქართველოს აშენება, მისი სახელმწიფოებრიობის აღდგენა მიაჩნია.

რით არის განპირობებული ამგვარი მიდგომა?

ჯერ ერთი, კომპარტია მოვალეა რეალურად გამოხატავდეს ხალხის ნება-სურვილს. რომელიც სახელმწიფოებრიობას საქართველოს სოციალურ და ეროვნულ აღორძინებას, ზოგადსაკაცობრიო იდეალების ხორცშესხმას უკავშირებს.

მეორე, როგორც ისტორიული გამოცდილება გვიჩვენებს, სოციალური სამართლიანობა არ არსებობს ეროვნული სამართლიანობის გარეშე. კლასობრივი და ეროვნული ინტერესების დაპირისპირებამ, რომელმაც წარმოშვა აბსტრაქტული იდეები მსოფლიო რევოლუციის შესახებ, საბოლოო ანგარიშით გამოიწვია ტოტალიტარული, უნიტარული სახელმწიფოს შექმნა. ადამიანთა გაუცხოება ეროვნული, შემდეგ კი მთლიანად საზოგადოებრივი ინტერესებისაგან.

მესამე, ეროვნული პოლიტიკის ადმინისტრაციულ-მბრძანებლური მეთოდების განხორციელებამ, შესაბამისმა სახელმწიფო და მმართველობითმა სტრუქტურებმა საზოგადოებრივ ფსიქოლოგიაში ხელი შეუწყო მეტად საშიში ტენდენციის — სხვისი მოიმედობის განწყობილების აღმოცენებას, რამაც მრავალი სერიოზული დეფორმაცია გამოიწვია პოლიტიკასა და მმართველობაში, კრიზისულ მდგომარეობამდე მიიყვანა ეკონომიკა.

საქართველოს კომპარტია ერთგულია მემკვიდრეობითობის დიალექტიკური პრინციპისა. იგი წარსულიდან იღებს ყოველივე რაციონალურსა და სასარგებლოს, ავითარებს საუკეთესო გამოცდილებას. ამავე დროს იგი შორს არის იმისაგან, რომ მთლიანად მოიხსნას ტვირთი წარსულის შეცდომებისა და გადახრებისა, რომლებიც ტრაგედიად გადაიქცა ჩვენი ხალხისათვის, ჩვენი პარტიისათვის. პარტია ამას დაამტკიცებს თავისი პრაქტიკული მოქმედებით და შეეცდება აღიდგეს სრული ისტორიული სიმართლე მოვლენებისა და ადამიანების შესახებ, მიეცეს მათ სამართლიანი, ობიექტური შეფასება, ერთხელ და საბუდამოდ დაგმოს პოლიტიკური ავანტიურიზმი და ყოველი მისი გამოვლინება. დროა ყველაფერს დავარქვათ თავისი სახელი.

უნდა ითქვას, რომ იმ დროს შექმნილ სიტუაციას რესპუბლიკის ყველა კომუნისტი როდი უჭირდა მხარს. ეს განსაკუთრებით რელიეფურად გამოვლინდა ქვეყნის მომავალი ეროვნულ-ტერიტორიული მოწყობის განხილვის პროცესში საბჭოთა კავშირის შექმნის წინ, როცა ქართველმა კომუნისტებმა მტკიცედ გაილაშქრეს „ავტონომიზაციის“ სტალინური იდეის წინააღმდეგ, დაიცვეს ფედერაციის, როგორც დამოუკიდებელ სახელმწიფოთა კავშირის, დემოკრატიული მოდელი, რომელსაც მხარი დაუჭირა ვ. ი. ლენინმა.

მრავალი თვალსაზრისით სწორედ მათ უნდა ვუმადლოდეთ ახლანდელი კონსტიტუციის 72-ე მუხლს, რომელიც რესპუბლიკებისათვის უზრუნველყოფს საბჭოთა კავშირიდან თავისუფალი გასვლის უფლებას და სახავს საქართველოსა და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობის უზრუნველყოფის ფართო კონსტიტუციურ შესაძლებლობებს. ამასთან დაკავშირებით ისტორიული სამართლიანობა მოითხოვს, სხვა მოღვაწეებთან ერთად მოვიხსენიოთ ბუდუ მდივანი, სერგო ქავთარაძე, მიხეილ ოკუჯავა და „ნაციონალ-უკლონიზმში“ დადანაშაულებული და შემდგომში რეპრესირებული ბევრი სხვა ქართველი კომუნისტი. სამწუხაროდ, იმძიმავრა პარტიის უმაღლესი ხელმძღვანელობის ნაწილის პოლიტიკურმა ამბიციებმა, რომლებიც შემდგომში „წარმატებით“ განხორციელდა უნიტარული, ტოტალიტარული სახელმწიფოს მოდელში.

ეროვნული განვითარების კონცეფციის შესაბამისად საქართველოს უზენაესმა საბჭომ ობიექტური პოლიტიკური და სამართლებრივი შეფასება მისცა საქართველოსა და საბჭოთა რუსეთის 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულების დარღვევას და ამის შედეგად ცნო, რომ იურიდიული თვალსაზრისით საქართველოს მიმართ უსაფუძვლო იყო შემდგომი პერიოდის მთელი რიგი დოკუმენტები.

ამავე დროს რეალისტები უნდა ვიყოთ. არ შეიძლება, მცდარია განურჩევლად ყველაფრის გაბიაბრუება, უარყოფა. არავის არა აქვს უფლება ჩრდილი მიაყენოს მთელი თაობების ცხოვრებას, რომლებმაც თავისი ძალ-ღონე, ნიჭი და ენერგია, სიცოცხლეც კი შესწირეს ხალხის კეთილდღეობის, მამაცურად იომეს კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე სისხლისმღვრელ ომში.

წარსულის შეცდომებისა და გადახრების იურიდიული შეფასებაში, ობიექტური ანალიზი იმისათვის გვჭირდება, რომ გავითვალისწინოთ ისინი სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნის პროცესში, გამოვიმუშაოთ ახალი ნორმები და პრინციპები.

ამის შესაბამისად საქართველოს კომპარტია დღეს მიზნად ისახავს იყოს ნამდვილად დემოკრატიული ძალა, რომელსაც შესწევს უნარი გაუძღვეს ჩვენი საზოგადოების მოწინავე ნაწილს. ალბათ, საკმათო არ უნდა იყოს, რომ ეს ორმაგად რთული მოცანაა მმართველი პარტიისათვის.

ბოლო - პერიოდში მთელი თავისი საქმიანობით კომპარტიამ დაამტკიცა, რომ იგი ღიაა დიალოგისათვის, მზად არის პოლიტიკური თანამშრომლობისათვის. დიდი და დაძაბული, თუმცა გარეგნულად არც ისე თვალში საცემი მუშაობა მიმდინარეობდა იმისათვის, რომ თავიდან აგვეცილებინა სხვადასხვა საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობის, მასობრივი მანიფესტაციებისა და აქციების დროს მოვლენათა უმართავი განვითარება. ამან მნიშვნელოვანწილად საშუალება მოგვცა არ დაგვშვა სერიოზული გართულებანი, ვითარების დესტაბილიზაცია, განსაკუთრებით თბილისსა და ზოგიერთ მსხვილ სამრეწველო ცენტრში.

ამასთან, ნათლად ვგრძნობთ, რომ უნდა გამდიდრდეს, გამრავალფეროვნდეს და უფრო კონსტრუქციული გახდეს საზოგადოებრივ მოძრაობებთან დიალოგი. ის მარტო მაშინ კი არ უნდა მიმდინარეობდეს, როცა დაძაბული სიტუაციები იქმნება, არამედ სისტემატურად. და იმ კარდინალური პრობლემების შესახებ უნდა იყოს მსჯელობა, რომლებიც განსაზღვრავენ ჩვენი განვითარების სტრატეგიულ მიმართულებებს. ასეთი პოზიცია ჩვენ არაერთხელ გამოგვიხატავს სიტყვითაც და საქმითაც.

სწორედ ამიტომ უპირს მხარს საქართველოს კომპარტია პოლიტიკურ პლურალიზმს და უარს აცხადებს პოლიტიკურ მონოპოლიაზე, პრეტენზიებზე, დიქტატზე მოღვაწეობის ყველა სფეროში.

რესპუბლიკის კომპარტია, რომელიც ადასტურებს მზადყოფნას, იმოქმედოს მრავალპარტიულობის პირობებში, უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის, პარტიული კომიტეტების მდივნების დიდი ნაწილის, ჩვენი ინტელიგენციის, ფართო საზოგადოებრიობის აზრის გათვალისწინებით თვითონვე შევიდა საკანონმდებლო ინიციატივით საქართველოს უზენაესი საბჭოს სესიაზე და მის განსახილველად შეიტანა დიდმნიშვნელოვანი საკითხები, რომლებიც კომპარტიის ხელმძღვანელ როლს, რესპუბლიკის კონსტიტუციის მე-6 და მე-7 მუხლების შეცვლას და რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს არჩევნების ოქტომბერ-ნოემბერში გადატანას შეეხებოდა. ეს გაკეთდა იმ მიზნით, რომ ყველასთვის შექმნილიყო პირობები თანასწორუფლებიანი დიალოგისა და თანამშრომლობისათვის.

როცა ასეთი ნაბიჯებს ვდგამდით, რა თქმა უნდა, ვმოქმედებდით მთელი საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებით. კომპარტია წინაღობდგება პიროვნებაზე ზემოქმედებისა, მის მიმართ იდეოლოგიური ტერორისა, გმობს ყოველგვარ ასეთ გამოვლინებას, ვისგანაც უნდა მომდინარეობდეს იგი.

კომპარტია ყველავე ყველაფერს გააკეთებს, იმისათვის, რათა გამოხატავდეს საქართველოს მთელი მოსახლეობის, ყველა მოქალაქის ინტერესებს, თანაბმიდგეროულად იღვწოდეს საქართველოს ეროვნული განვითარებისა და ერთიანობისათვის, ხელს უწყობდეს სისხლსავსე, მოქნილი ეროვნული ეკონომიკის ჩამოყალიბებას, დემოგრაფიული პრობლემების სამართლიან გადაჭრას, ეკოლოგიური ვითარების გაჯანსაღებას.

ამავე დროს, იცავს რა დემოკრატიზმის პრინციპებს, იგი მტკიცედ უჭერს მხარს დისციპლინისა და პასუხისმგებლობის ამაღლებას, აუცილებლად მიაჩნია კონსტიტუციური და სამართლებრივი ნორმების დაცვა, მათი ყველა საკითხისა და პრობლემის მხოლოდ და მხოლოდ საპარლამენტო გზით გადაჭრა. ხელმძღვანელობს რა ამ დებულებით, თავისი პოლიტიკური კურსის განხორციელების ძირითად ფორმად იგი საპარლამენტო მუშაობას, საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევნებში აქტიურ მონაწილეობას მიიჩნევს.

თავისი პოლიტიკური პოზიციების განახლების პრინციპები და რესპუბლიკაში მიმდინარე პროცესებისადმი დამოკიდებულება საქართველოს კომპარტიამ სრულად გამოხატა ცენტრალური კომიტეტის 1990 წლის იანვრისა და მარტის პლენუმებზე, ეროვნული განვითარების კონცეფციაში. მაგრამ საზოგადოებრივი ცხოვრებისა და საზოგადოებრივი ურთიერთობის დინამიკა გვაიძულებს დღენიადაგ შეგვჭრნდეს კორექტივები. და ეს კანონზომიერია დღევანდელი ცხოვრებისათვის.

ვფიქრობთ, ყოველივე ეს უნდა გავითვალისწინოთ ყრილობის საბოლოო საპროგრამო დოკუმენტების მომზადებისა და მიღებისას.

III.

როგორ გვესახება რესპუბლიკის რეალური პოლიტიკური და ეკონომიკური სუვერენიტეტის მიღწევის კონკრეტული გზები, რა პრობლემები უნდა გადაეწყვიტოთ უპირველესად?

გარდაქმნა და დოგმები შეუთავსებელია. ამასთან პოლიტიკური სიფხიზლე და ალღო მოითხოვს, დასახული მიზნების მიღწევისას ყოველმხრივ ვითვალისწინებდეთ ობიექტურ ფაქტორებსა და გარემოებებს. უნდა გამოვრიცხოთ პოლიტიკური პროექტორობის ელემენტები. სწორედ ტაქტიკის საკითხებში არსებობს არსებითი სხვაობა როგორც რესპუბლიკის სხვადასხვა საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობის შეხედულებებში, ისე ნაწილობრივ საქართველოს კომპარტიის შიგნითაც.

ცხოვრება, პოლიტიკური მუშაობის ბოლოდროინდელი გამოცდილება ადასტურებს, რომ მაქსიმალურად უნდა შევიკავოთ თავი საკუთარი შესაძლებლობების ნაჩქარევი, ზერელე შეფასებებისა და ილუზიებისაგან. შექმნილ პოლიტიკურ ვითარებაში, იმ რეალურ სოციალურ-ეკონომიკურ პირობებში, რომლებშიც ჩვენ ვშრომობთ და ვცხოვრობთ, საქართველოს ნამდვილი სუვერენიტეტისაკენ წინსვლა მრავალწახნაგოვან ეტაპობრივ პროცესად უნდა მივიჩნიოთ და არა ერთდროულ აქტად.

მაგალითად, ჩვენ არ შეგვიძლია არ გავითვალისწინოთ მთლიანად ქვეყანაში შექმნილი ვითარება. ამოცანა ის არის, რომ ჩვენს მიერ გადადგმული ნაბიჯები არ იწვევდეს გაუმართლებელ კონფრონტაციას, იმ ანტიდემოკრატიული ძალების შეგულიანებას რესპუბლიკასა და ქვეყანაში, რომლებიც ისედაც ყველაფერს ღონობენ, ოღონდ უკუღმა შეატრიალონ გარდაქმნის პროცესები. საქართველოს დამოუკიდებლობა მხოლოდ იმ შემთხვევაში იძენს ნამდვილ ადამიანურ ფასს, ჰუმანისტურ ღირებულებას, თუ მასთან განუყრელად არის დაკავშირებული სამართლებრივი, ცივილიზებული, დემოკრატიული საზოგადოების ჩამოყალიბება. ჩვენ ამის წინააღმდეგი ვართ, რომ ხელოვნურად ჩქარდებოდეს პროცესები. ამან შეიძლება უკუეფექტი მოგვცეს. დემოკრატიის ერთადერთი შესაძლო ალტერნატივა კი დღეს შეიძლება გახდეს ტოტალური დიქტატურა. ასე შეიძლება გამეორდეს ჩვენი ისტორიის ზოგიერთი დრამატული ეპიზოდი, რაც არამც და არამც არ უნდა დავუშვათ.

ჩვენ ვერ გავეთიშებით მთელ მსოფლიოში, ევროპაში, ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში მიმდინარე პროცესებისაც. აუცილებელია, მე ვიტყოდი, განსაკუთრებით, სასიცოცხლოდ აუცილებელია ჩვენი ისტორიის გაკვეთილებისა და გეოპოლიტიკური სიტუაციის გათვალისწინებაც. ჩვენ არასოდეს ვყოფილვართ და ვერც დღეს ვიქნებით იზოლირებულნი დანარჩენი მსოფლიოსაგან, სხერთაშორისო მოვლენებისაგან, ტენდენციებისაგან.

პოლიტიკური თვალსაზრისით თავისთავადობა, „ხამოუკიდებლობა“ მხოლოდ იმ შემთხვევაში იძენს აზრს, თუ იგი უზრუნველყოფილია დე-იურეთი და დე-ფაქტოთი. უკვე აღვნიშნეთ, რომ ჩვენი დეპუტატები — საზოგადოებათმცოდნეები, იურისტები, ეკონომისტები, სხვა დარგის სპეციალისტები, მათ შორის ცენტრალური კომიტეტის, მთავრობის წევრები, აქტიურად შეუდგნენ მიზანმიმართულ კანონშემოქმედებით საქმიანობას, რომელიც გარკვეულ სამართლებრივ საფუძვლებს ჰქმნის სამოკავშირეო ხელშეკრულებისა და სხვა გადაწყვეტილებათა გადასინჯვისათვის. ჯერჯერობით ეს მუშაობა საკმაოდ კვალიფიციურად მიმდინარეობს, მომავალშიც ასევე უნდა წარიმართოს.

მომზადებულია ან შემუშავების სტადიაშია 25 კანონპროექტი, მათ შორის საკუთრების, მიწისა და მიწათსარგებლობის, იჯარისა და საიჯარო ურთიერთობის, საბანკო სისტემისა და ფულის მიმოქცევის, მათ შორის ეროვნული ფულის, ადგილობრივი თვითმმართველობისა და ადგილობრივი მეურნეობის, კულტურისა და მოსახლეობის სოციალური უფლებების დაცვის, სახალხო განათლებისა და სოციალური უზრუნველყოფის შესახებ და მრავალი სხვა. ყველა ეს კანონპროექტი ახლო მომავალში საყოველთაო-სახალხო განხილვისათვის იქნება გამოტანილი.

არ შემიძლია ხაზგასმით არ აღვნიშნო, რომ საბჭოთა კავშირის პრეზიდენტმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა მ. ს. გორბაჩოვმა ბოლოდროინდელ შეხვედრებზე მკაფიოდ გამოხატა თავისი დაინტერესება და მხარდაჭერა საქართველოში მიმდინარე პოზიტიური პროცესებისადმი, სრული, რეალური სუვერენიტეტის მიღწევებისადმი, რაც საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს დეცენტრალიზაციის, თითოეული რესპუბლიკისადმი დიფერენცირებული მიდგომის, მათი ისტორიული, პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური თავისებურებების მაქსიმალური გათვალისწინების გზით უნდა განხორციელდეს.

ყოველი სახელმწიფოს ნამდვილი სუვერენიტეტი სავალდებულო განმაზოგადებელ პირობად მაღალეფექტიანი, სტრუქტურულად სრულყოფილი, მოქნილი და მარტივად ეკონომიკის არსებობას, ეკონომიკურ დამოუკიდებლობას გულისხმობს.

პირდაპირ უნდა განვაცხადოთ, რომ რესპუბლიკის ეკონომიკა კიბრიზისულ მდგომარეობაშია. ძირითად ეკონომიკურ მაჩვენებელთა ზრდის ტემპის შენელება, რომელმაც თავი იჩინა მეთორმეტე ხუთწლედის დამდეგს, კიდევ უფრო გაამწვავა გაუთვალისწინებელმა სტრუქტურულმა ძვრებმა, სტაგნაციამ მოვლენებმა, პოლიტიკური ვითარების გართულებამ. რეგულირებად საბაზრო ურთიერთობაზე გადასვლის წინ კი ტემპი საერთოდ მკვეთრად შენელდა. ხუთწლედის ოთხ წელიწადში ეროვნული შემოსავალი მხოლოდ 0,4 პროცენტით გაიზარდა, ნაცვლად ხუთწლიანი გეგმით განგარიშებული 19,2 პროცენტისა. წარმოებულია ოთხი მილიარდი მანეთით ნაკლები ეროვნული შემოსავალი. სამრეწველო წარმოების ზრდამ, გათვალისწინებული 18,8 პროცენტის ნაცვლად, მხოლოდ 8,8 პროცენტი შეადგინა. უნდა გითხრათ, ასეთივე ტენდენციები შეინიშნება მთლიანად ქვეყანაში. უარესდება ეკონომიკური ზრდის თვისებრივი მაჩვენებლები. საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერება, ნაცვლად იმისა, რომ 16,4 პროცენტით გაზრდილიყო 0,1 პროცენტით შემცირდა. უკიდურესად შესუსტდა შრომითი და საწარმოო დისციპლინა.

ერთი სიტყვით, ტრადიციული სამმართველო სტრუქტურების მსხვრევა, მეურნეობის ხელმძღვანელების დირექტიული მეთოდებიდან ეკონომიკურ მეთოდებზე გადასვლა უდიდესი დანაკარგებით მიმდინარეობს. ეს ამწვავებს სოციალურ დაძაბულობას საზოგადოებაში. დიდი ზარალი მიაყენა სახალხო მეურნეობას გაფიცვებმა და სხვა საპროტესტო აქციებმა.

სამეურნეო ორგანოების აზრით, რესპუბლიკაში უკვე ბოლო ტალღაზე მოხვედრილ ეკონომიკური რეფორმა. შედეგები, რომლებსაც მოველოდით, არ ჩანს, რატომ? **ჯერ ერთი,** რეფორმის მექანიზმი ვერ ამოქმედდა მთლიანად ქვეყანაში, ჩვენი ეკონომიკა კი მისი სახალხო-სამეურნეო კომპლექსის ნაწილია; **მეორე,** ეს რეფორმა რადიკალური მხოლოდ სახელწოდებით აღმოჩნდა, რადგან ხუთწლედის ყველა განმაზოგადებელი მაჩვენებელი წინასწარ იყო განსაზღვრული და გადაწყვეტილი. **მესამე,** ეკონომიკა მოუმზადებელი აღმოჩნდა საბაზრო მექანიზმის ელემენტების შემოღებისათვის, ხოლო ახალი ორგანიზაციული ფორმები საკმაოდ დუნედ ინერგება. ამის შედეგად ვერ მივაღწიეთ მთავარს — ადამიანი, მწარმოებელი ვერ დავაახლოეთ საკუთრებასთან, წარმოების საშუალებებთან.

ეკონომიკური რეფორმის პრინციპული და, შესაძლოა, უმთავრესი ნაკლი ის იყო, რომ იგი არ იყო შეთანაწყობილი პოლიტიკურ რეფორმასთან, კერძოდ, მისგან პრაქტიკულად მთლიანად იყო ამოვარდნილი ჩვენი სახელმწიფო სისტემის უმნიშვნელოვანესი რგოლი — მოკავშირე რესპუბლიკა.

რესპუბლიკის ეკონომიკური მდგომარეობის გაჯანსაღების გზად საქართველოს კომპარტიას ეროვნული ეკონომიკის ჩამოყალიბება მიაჩნია. რა გვაქვს მზეზე, ერთ-ერთი ყველაზე მეტად ეროვნული ეკონომიკა — ეს არის სუვერენული სახელმწიფოს ორგანიზაციულად და სტრუქტურულად დაკავშირებული ეკონომიკურ ურთიერთობათა სისტემა, რომელიც ფუნქციონირებს ოპტიმალური ეროვნული განვითარების ინტერესებისათვის და საშუალებას იძლევა დამოუკიდებლად კმაყოფილდებოდეს მოსახლეობის უპირველეს მოთხოვნილებათა ძირითადი ნაწილი.

სრული ეკონომიკური სუვერენიტეტის, მიღწევის უმნიშვნელოვანესი პირობაა ძირითადი სასურსათო პროდუქტებით თვითუზრუნველყოფა, ბუნებრივია, ტრადიციული სამეურნეო კავშირურთიერთობის გათვალისწინებით. ამიტომ აუცილებელია კიდევ ერთხელ ყურადღებით შევაჯეროთ სოფლის მეურნეობის ცალკეული დარგების განვითარების დონე, შევაჩეროთ ცალკეული კულტურების შემდგომი ზემონოპოლიური კულტივირება ეს დიდ ზიანს აყენებს მიწას, საბოლოო ჯამში კი — ხალხს, ადამიანს.

ეროვნული ეკონომიკის განვითარების ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა მისი სტრუქტურული სრულყოფა და ეფექტიანი მართვა. რესპუბლიკაში განლაგებულია საკავშირო დაქვემდებარების საწარმოები, რომლებიც სამრეწველო პროდუქციის მნიშვნელოვან ნაწილს აწარმოებენ და რესპუბლიკის ინდუსტრიულ სახეს განსაზღვრავენ, მაგრამ დღეს პრაქტიკულად შეუძლებელია მათი საერთო-რესპუბლიკური თუ რეგიონალური მასშტაბით მართვა.

მეტად აქტუალურ მნიშვნელობას იძენს სახალხო მოხმარების ინ სასურსათო და არასასურსათო საქონლის წარმოების დონის ამაღლება, რომლის წილად დღეს რესპუბლიკის სამრეწველო წარმოების მთელი მოცულობის 60 პროცენტზე მეტი მოდის.

უკვე აპრობირებულ მეთოდებს გარდა, რესპუბლიკის ეკონომიკის განვითარების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიმართულება შეიძლება გახდეს კოოპერაცია საზღვარგარეთის ფირმებთან, ერთობლივ საწარმოთა შექმნა საქართველოს ეროვნული ინტერესების უთუო პრიორიტეტის პირობით. ეს ყველაზე ეფექტიანი გზაა იმისათვის, რომ შოწონავე ტექნოლოგიის ვეზიოიოთ, უსწრაფესად გავიდეთ მსოფლიო მოთხოვნების დონეზე.

როგორც მსოფლიო გამოცდილება გვიჩვენებს, სახელმწიფოს, ერის ავტორიტეტს, მის უნარს,— დაიჩქაროს საზოგადოებრივ-ეკონომიკური პროგრესი — უწინარეს ყოვლისა, იმ მატერიალური დოვლათის დონე განსაზღვრავს, რომელიც შექმნილია ხალხის შრომით, ენერგიითა და ინტელექტით, მათ შორის მეცნიერებისა და ტექნიკის ყველაზე მოწინავე დარგებში. ამას უთუოდ უნდა ვითვალისწინებდეთ საქართველოს საერთაშორისო ეკონომიკის ბაზრებზე. ამ ბაზრებზე ეროვნული ეკონომიკა ერთ-ერთ ადგილს ინარჩუნებს, ეს ადგილი ეროვნული ეკონომიკის ეფექტიანობისა, ეროვნული ეკონომიკის ეფექტიანობის ინდიკატორია. ეს ადგილი ეროვნული ეკონომიკის ეფექტიანობის ინდიკატორია. ეს ადგილი ეროვნული ეკონომიკის ეფექტიანობის ინდიკატორია. ეს ადგილი ეროვნული ეკონომიკის ეფექტიანობის ინდიკატორია. ეს ადგილი ეროვნული ეკონომიკის ეფექტიანობის ინდიკატორია. ეს ადგილი ეროვნული ეკონომიკის ეფექტიანობის ინდიკატორია. ეს

გარდაქმნის მიმდინარეობის, რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციათა ამოცანებისა და საქართველოს კომპარტიის სტატუსის შესახებ

(დასასრული)

ეროვნულ მოძრაობასთან. ასეთია ის თეორიული და პრაქტიკული საფუძვლები, რომლებითაც საქართველოს კომპარტია იწყებს თავისი განვითარების ახალ ეტაპს, პოლიტიკური პლურალიზმისა და მრავალპარტიულობის ეპოქას.

ყველა კომუნისტმა, მათ შორის ხელმძღვანელებმა, როდი შეძლეს გაეცნობიერებინათ კომპარტიის ადგილი ახალ, უჩვეულო პოლიტიკურ პირობებში, სიტყვით კი არა, პრაქტიკულად გაერკვიათ დემოკრატიული მიდგომების არსი, იარაღად გაეხადათ ისინი. ჩვენ ვახალისებდით და კვლავაც წავახალისებთ კომუნისტთა აქტიურობის ზრდას, გამავფართოვებთ მათი ნება-სურვილს, შეხედულებებისა და პოზიციების გამოხატვის შესაძლებლობებს. ეს საშუალებას მოგვცემს უკეთ ვიგრძნოთ განწყობილება პარტიულ ორგანიზაციებში, უფრო გულდასმით შევამოწმოთ გადაწყვეტილებანი, ვიყოთ თვითკრიტიკულნი. ჩვენ ვიღებდით

[illegible] კვლავაც სერიოზულად მივიღებთ ყველა კონსტრუქციულ შენიშვნას, კრიტიკას, გულისყურით მოვეკიდებით და გავითვალისწინებთ მათ ჩვენს მუშაობაში.

ამავე დროს არ შეიძლება არ ითქვას ზოგიერთი კრიტიკული შენიშვნის შესახებაც. მაგალითად, გვსაყვედურობენ იმის გამო, რომ რესპუბლიკის პარტიის გავლენა საზოგადოების განვითარებაზე ძალიან უტანებელი გახდა. მაგრამ პოლიტიკური რეფორმების აზრი ხომ სწორედ იმაში გამოიხატება, რომ მოვეშვათ ჩვენი ნება-სურვილის ყველასათვის მოურიდებელ თავსმოხვევას, უარი ვთქვათ საზოგადოების მიერ დაგმობილ ადმინისტრაციულ-მბრძანებლურ იძულებაზე და ჩვენი მიზანდასახულობანი მხოლოდ და მხოლოდ პოლიტიკური მეთოდებით განვახორციელოთ.

ვერ დავეთანხმებით იმასაც, თითქოს სხვა პოლიტიკურ ძალებს ვუთმობდეთ ინიციატივას, თანაც ისეთ საკითხებშიც კი, რომლებიც შინაპარტიულ სფეროს განეკუთვნება. ეს ჭეშმარიტებას არ შეესაბამება თუნდაც იმიტომ, რომ ჩვენ კი არ ვთმობთ, არამედ ვახალისებთ ყველა მოქალაქის ასეთ ინიციატივას, ვაღრმავებთ ნამდვილ პლურალიზმს, ვაფართოვებთ დიალოგს, ვცდილობთ გავითვალისწინოთ სხვა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოძრაობათა პოზიტიური აზრები. ვფიქრობთ, ამაში არაფერია დასაძრახი! — უკვე თვით ეს სტილი შეაცვლის უდიდეს პოლიტიკურ ინიციატივას, რომელმაც დემოკრატიული აზროვნების ახალ დონეზე გაგვაყვანინა ჩვენი საზოგადოება. დაპირისპირება, კონფრონტაცია კი აქ ყოვლად უადგილოა. ჩვენ კარგად ვიცით, რა შედეგები შეიძლება მოყვეს ამას.

რაც შეეხება შინაპარტიული საკითხებისადმი, მათ შორის საკადრო პოლიტიკისადმი მოსახლეობის გადიდებულ ინტერესს, ეს მოწმობს, რომ ადამიანები კვლავინდებურად სწორედ პარტიას უკავშირებენ მოაწიფებული საკითხების გადაწყვეტას, მიაჩნიათ იგი ავტორიტეტად და გავლენიან ძალად; მათთვის უკვე სულერთი არ არის, ვინ იქნება პარტიული ხელმძღვანელი. უფლება არა გვაქვს არ გავამართლოთ ეს იმედები.

რა თქმა უნდა, ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია ცდები, დაბრალონ კომპარტიას, მის ცენტრალურ კომიტეტს ეროვნული პრობლემების უგულებელყოფა, ამტკიცონ,ითქოს ისინი მესამეხარისხოვან როლს ასრულებენ ეროვნულ-საზოგადოებრივ მოძრაობაში. განა საქართველოს კომპარტიამ არ შეიმუშავა ეროვნული განვითარების მწყობრი, რეალისტური კონცეფცია? განა მან არ შეუწყო ხელი ჩვენი ისტორიის უძნელესი ეტაპებისა და მოვლენების სამართლიან და ობიექტურ შეფასებას, [illegible] შექმნა საქართველოს სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობის იურიდიული საფუძველი? ამას ადასტურებს დღევანდელი საპროგრამო დოკუმენტების პროექტებიც, რომლებიც ხელთ აქვთ დელეგატებს.

და ბოლოს: კვლავაც არის ცდები მოსთხოვონ ცენტრალურ კომიტეტს, მის ბიუროს იმ პრობლემების გადაწყვეტა, რომლებსაც სხვა ორგანოები უნდა წყვეტდნენ. ჩვენგან კვლავ მოითხოვენ შევასრულოთ ის ფუნქციები, რომლებისგანაც პარტია თავისუფლდება და მომავალში კიდევ უფრო მეტად განთავისუფლდება. ეს გარდაქმნის ერთ-ერთი უმთავრესი მოთხოვნაა. დღეს როგორც არასდროს, საჭიროა ყველამ თავისი საქმე აკეთოს, ყველა თავის უბანზე არსებული მდგომარეობისთვის აგებდეს პასუხს. ეს, პირველ რიგში სამართალდამცველ ორგანოებს შეეხება.

რაც შეეხება ბიუროს მუშაობის ნაკლოვანებებს და ხარვეზებს, ცოტა როდი გვაქვს. მათ არ ვმალავთ და ვცდილობთ ჟამუნისტების საერთო აზრის გათვალისწინებით გამოვასწოროთ.

ნაყოფიერი მუშაობა მიმდინარეობს საქართველოს სსრ უზენაეს საბჭოში, მასთან აქ შექმნილ კომისიებში, აქ ფართო კანონშემოქმედებით მუშაობას ეწევიან ისეთ დიდმნიშვნელოვან საკითხებზე, როგორიცაა რესპუბლიკის მოქალაქის სტატუსი, საქართველოში საკავშირო კანონების მოქმედების წესი, მიგრაციული პროცესების რეგულირება, ეროვნული საჯარისო ფორმირებების შექმნა, წვევამდელთა მიერ სგვალდებულო სამხედრო სამსახურის რესპუბლიკაში მოხდა და ა. შ. ბევრ ეროვნულ და სოციალურ-პოლიტიკურ ამოცანას ახლებურად, არასტანდარტულად უდგება და წყვეტს რესპუბლიკის მთავრობა. ასეთი პოზიცია ყოველმხრივ მხარდაჭერას იმსახურებს.

საქართველოს განახლებული კომპარტია ყოველმხრივ უნდა შეეცადოს თვისებრივად ახალ დონეზე აიყვანოს ეროვნებათშორისი ურთიერთობები, ახალ რეალობათა გათვალისწინებით განავითაროს საუკუნეების განმავლობაში ცხოვრების წესად ჩამოყალიბებული ჩვენი ხალხის საუკეთესო ტრადიციები.

საქართველოს კომპარტიის განსაკუთრებული ზრუნვის საგანი ექნება ეროვნული კულტურის განვითარების ყოველმხრივ ხელშეწყობა. ამის ნათელი გამოხატულებაა ქართული ენის განვითარების, ისტორიისა და კულტურის სახელმწიფო პროგრამები, აფხაზური ენის განვითარების სახელმწიფო პროგრამის შემუშავება. დიდმნიშვნელოვანი ღონისძიებები ხორციელდება, მომავალშიც განხორციელდება ოსური ენის, საქართველოში მცხოვრები სხვა ხალხების ენებისა და კულტურების განვითარებისათვის. ეს ჩვენი პრინციპული პოზიციაა. ვფიქრობთ, სუვერენულ საქართველოში ყველაფერი უნდა კეთდებოდეს იმისათვის, რათა სრულად გამოვლინდეს ყველა ერისა და ხალხის სულიერი და შემოქმედებითი პოტენციალი.

ადმინისტრაციულ-მბრძანებლური მეთოდების ბატონობა, უფლებებისა და თავისუფლებების უზურპაცია ერთნაირად უარყოფითად მოქმედებდა ყველა საზოგადოებრივ სტრუქტურაზე, ერსა და ხალხზე. ცხადია, მისგან თავისუფალი არ იყო ეკონომიკური და სოციალურ-პოლიტიკური სფერო, რა თქმა უნდა, ეროვნებათშორისი ურთიერთობაც.

საქართველოს კომპარტია დემოკრატიზაციის პროცესების გაღრმავებას, საქართველოს სუვერენიტეტის მოპოვებას უშუალოდ უკავშირებს თავისუფალ საზოგადოებაში პიროვნების უფლებებისა და თავისუფლების პრობლემას, უზრუნველყოფილი უნდა იყოს ყველა პირობა იმისათვის, რომ მაქსიმალურად შეეძლოთ საერთო—ეროვნული აღმშენებლობის პროცესში აქტიური მონაწილეობა მიიღონ რესპუბლიკაში მცხოვრებმა ყველა ეროვნების ადამიანებმა. ჩვენი მრავალსაუკუნოვანი სახელმწიფოებრივი განვითარების ისტორიული გამოცდილება დასტურებს, რომ, საქართველოში ყველა ხალხი მუდამ მშვიდობიანად და მეგობრულად ცხოვრობდა, მათ დიდი წვლილი შეჰქონდათ საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში, ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში.

კომპარტიას მიაჩნია, რომ საქართველოში არ არსებობს ისეთი ეროვნებათშორისი პრობლემები, რომელთა გადაჭრა არ შეიძლებოდეს დიალოგის, ურთიერთპატივისცემისა და ურთიერთგაგების საფუძველზე, გარედან ჩაურევლად. ეს ეხება ავტონომიური ფორმირების, რეგიონის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას, ეროვნულ ენებსა და კულტურებს. მაგრამ პრობლემების გადაწყვეტის გზებს უნდა გვთავაზობდნენ სპეციალისტები, ხელისუფლების ორგანოები, საზოგადოებრივი ინსტიტუტები, რომელთა კომპეტენტურობა და ობიექტურობა ეჭვს არ იწვევს და, ბუნებრივია, ეს უნდა ხდებოდეს არსებულ რეალობათა გათვალისწინებით.

ეროვნული თანხმობა როგორც რესპუბლიკის, ისე მთელი ქვეყნის მასშტაბით, ჩვენი წინსვლის უმნიშვნელოვანესი პირობაა.

მიგვაჩნია, რომ დღეს განსაკუთრებულ დამოკიდებულებას, განსაკუთრებულ ზრუნვას უნდა ვიჩენდეთ პარტიული კადრების, ყოველი კომუნისტის მიმართ.

უნდა ვაღიაროთ, უმთავრესად ობიექტური მიზეზებით იყო გამოწვეული, რომ ამ მხრივ ჩვენ მნიშვნელოვნად ჩამოვრჩით და მხოლოდ უკანასკნელ თვეებში გავაქტიურეთ მუშაობა. დღეს საქმიანი მხარდაჭერა სჭირდება თითოეულ კომუნისტს, პარტორგანიზაციების მდივნებს, პარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტის, თვით ცენტრალური კომიტეტის მდივნებსაც. ეს ჩვენი საერთო საქმეა.

ბოლოდროინდელმა შეხვედრებმა შრომით კოლექტივებში, პარტორგანიზაციებსა და პარტიული კომიტეტების მდივნებთან, მათი პირუთვნელი აზრის მოსმენამ, რესპუბლიკაში საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროცესების ანალიზმა დაგვარწმუნა, რომ ჩვენი პარტიული რიგები ერთგვაროვანი არაა.

დღევანდელმა რეალიებმა თვალნათლივ დაგვანახა, თუ ვინ და რისთვის იყო შესული პარტიაში, რა ამოძრავებდა, რა სწამდა, რა პოზიცია ეკავა, უკავია და, რა პოზიციას დაიკავებს ხვალ, პირადი ამბიციები და კარიერისტული მისწრაფებები როგორ ცვლიან, უფრო სწორად, თრგუნავენ და ამცირებენ, ადამიანის პიროვნებას.

ჩვენ არ გვჭირდება ასეთი ადამიანები პარტიაში, ჩვენი ძალა უპირველესად თვისებრიობაშია.

ქვეყანაში, ჩვენს რესპუბლიკაში მიმდინარე რთულმა საზოგადოებრივ-პოლიტიკურმა მოვლენებმა, პარტიული კომიტეტებისაგან თვით ცენტრალური კომიტეტისაგან ტრადიციული, ჩვეული უურადღების შენელებამ გულწრფელად დააბნია კომუნისტთა ერთი ნაწილი, მათ შორის აპარატების ზოგიერთი მუშაკებიც. მთ უთუოდ უნდა გავუგოთ და მხარში ამოვუდგეთ, გავაგებინოთ ჩვენი პოზიციები, სტრატეგია, პარტიის როლი, ფუნქციები და ამოცანები ახალ ვითარებაში. ამაში თავისი წვლილი უნდა შეიტანოს ჩვენმა დღევანდელმა ყრილობამაც.

კომუნისტთა უმრავლესობა კი, ყოველგვარ სირთულეთა მიუხედავად, ვლავაც მტკიცე მოქალაქეობრივ პოზიციებზე დგას, მათზე ვერ მოახდინა გავლენა პოლიტიკურმა კონიუნქტურამ, ყოფილ თანაპარტიელთა გამოწვევამ, მიატოვონ პარტიის რიგები, ვერც სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებაში არსებულმა სიძნელეებმა, ვერც ჩვენმა ზოგიერთმა ნაკლმა.

ესენი არიან ჩვენი მუშათა კლასის, გლეხობის, ინტელიგენციის, ახალგაზრდობის, საუკეთესო წარმომადგენლები, მტკიცე, ზნეობრივად ამაღლებული, შრომელი, ეროვნულ ნიადაგზე მყარად მდგარი ადამიანები, ჩვენი პარტიის ოქროს ფონდი, რომლებიც ნებისმიერ პოლიტიკურ სიტუაციაში არ უღალატებენ თავიანთ პრინციპებს, ღირსეულ წვლილს შეიტანენ სუვერენული საქართველოს მშენებლობაში.

ბოლო დროს გადადგმული სერიოზული ნაბიჯების მიუხედავად, ვფიქრობთ, არსებითად უნდა გაღრმავდეს და მრავალფეროვნი გახდეს დიალოგი პარტიულ კომიტეტებთან, პირველად პარტორგანიზაციებთან, კომუნისტებთან. არ უნდა დაიკარგოს არც ერთი ცოცხალი აზრი და ინიციატივა.

უნდა ითქვას, რომ ამ ბოლო დროს გარკვეული საკადრო ცვლილებები მოხდა საქართველოს კომპარტიის ბევრ საქალაქო და რაიონულ კომიტეტში. როგორც წესი, თითოეული საკითხის გადაწყვეტისას ყოველმხრივ იყო გათვალისწინებული კომუნისტების შეხედულება, ახალი ხელმძღვანელების არჩევნები აღლესტანტურ საფუძველზე იმართებოდა. და თუ დღეს ადგილებზე არცთუ იშვიათად გაბედულად ამხელენ ნაკლოვანებებს პარტიული კომიტეტის მუშაობაში, თავის სახელს უწოდებენ საგნებს, ეს მხოლოდ ისმის ადასტურებს, რომ დემოკრატიზაციის პროცესები ღრმად იდგამს ფესვებს შიგპარტიულ ცხოვრებაში. რასაკვირველია, მხედველობაში არა გვაქვს გარეშე ძალების მხრიდან უხეში ზეგავლენის ზოგიერთი ფაქტი, რომელსაც ვგმობთ, და ვერავითარ შემთხვევაში ვერ ჩავთვლით სამართლიანად.

სერიოზული სირთულეების მიუხედავად, სწორედ შიგაპარტიული დემოკრატიის გაფართოების წყალობით ბევრად განახლდა პარტიული ორგანიზაციების, მათ შორის პირველადი ორგანიზაციების საქმიანობის ფორმები და მეთოდები. ისინი სულ უფრო პრინციპულ პოზიციას უნდა იკავებდნენ, აფართოებდნენ პლურალიზმს.

განახლებულ პარტიას ასევე თვისებრივად განახლებული მახობრივი ინფორმაციის საშუალებები სჭირდება. ეს ცალკე საუბრის თემაა; აქ კი იმაზე გვინდა ყურადღება გავამახვილოთ, რომ ამ უმნიშვნელოვანეს სფეროში არსებითი ცვლილებები ხდება. პრესა, რადიო, ტელევიზია მთლიანად განთავისუფლდა დიქტატისაგან, სულ უფრო ფართოდ გამოხატავენ ისინი საზოგადოებრივი აზრისა და განწყობილებების მთელ სპექტრს. მაამა პრინციპულმა პუბლიკაციებმა საგრძნობლად შეუწყო ხელი დემოკრატიზაციას, აზრის თავისუფლებას, ეს მისასალმებელია. მაგრამ ერთი უკიდურესობიდან მეორეში არ უნდა გადავარდეთ, არ უნდა ავყვეთ ემოციებს, არ უნდა გამოვედევნოთ სენსაციებს, შეუმოწმებელ ფაქტებს და, რაც მთავარია, არ უნდა დავკარგოთ საკუთარი პოზიცია. უნდა გვახსოვდეს, რომ პრესა, რადიო და ტელევიზია მარტო ინფორმაციას კი არ აწვდიან ხალხს, არამედ საზოგადოებრივ აზრსაც აყალიბებენ. ეს კი დიდი პასუხისმგებლობაა.

დღეს ასევე აუცილებელია ყოველმხრივ დაეუჭიროთ მხარი საქართველოს კომკავშირს, რომელიც მოცულია თვისებრივი თვითგანახლების, საკუთარი სახის ძებნის და რეალური სუვერენიტეტის მოპოვების რთული პროცესებით. ჩვენ ვალში ვართ ახალგაზრდობის წინაშე, რადგან მოვადუნეთ მათთან მუშაობა და თანადგომა.

საერთოდ, უფრო თანამიმდევრული, ბეჯითი მუშაობა გვმართებს ახალგაზრდობასთან, საქართველოს ხვალინდელ დღესთან. ეს ჩვენი უპირველესი მოვალეობაა. ახალგაზრდებს ბევრი რამ აწუხებს, ბევრი სერიოზული კითხვა და პრეტენზია დაუგროვდათ და არც ერთი არ უნდა დავტოვოთ უპასუხოდ, ხშირად ისინი მართლები არიან და არავის არ უნდა მოერიდოს ამის აღიარება. შუბლნათელნი უნდა ვიყოთ მათ წინაშე, თავისუფლად ვუყურებდეთ თვალებში, გავუფრთხილდეთ მათ სულს, მათ ზნეობას, რათა დღევანდელმა დაძაბულმა საზოგადოებრივ-პოლიტიკურმა სიტუაციებმა მძიმე ხინჯი ან ლაქა არ დააჩნიოს მათ სათუთ გრძნობებს და მსოფლმხედველობას.

თვალისჩინივით უნდა გავუფრთხილდეთ თაობათა ერთიანობას, მათ გენეტიკურ და სულიერ კავშირს. სწორედ ამაში გამოიხატება ჩვენი ძლიერება, ენის, ხვალინდელი საქართველოს უკვდავება.

რთული, არაერთგვაროვანი პროცესები მიმდინარეობს რესპუბლიკის პროფკავშირულ ორგანიზაციებშიც. განახლების მთავარი მიზანი აქაც ის არის, რომ წინა პლანზე დადგეს მათი უშუალო ფუნქციები — მშრომელი კაცის ინტერესების დაცვა, შრომის, ყოფაცხოვრებისა და დასვენების პირობების გაუმჯობესება, შრომის დისციპლინის განმტკიცება, სოციალური სამართლიანობის დამკვიდრება.

ყრილობის დელეგატებს დაურიგდათ საქართველოს კომუნისტური პარტიის პროგრამისა და ორგანიზაციული და სტრუქტურული წყობის ძირითადი დებულებანი. ალბათ შეამჩნევდით, რომ ეს დოკუმენტი, ისევე როგორც თვით კომპარტიის საპროგრამო მიზანდასახულობანი, გარკვეულწილად არ შეესაბამება როგორც პარტიის არსებულ სტრუქტურას, ისე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლატფორმისა და წესდების პროექტების ცალკეულ დებულებებს.

ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობა, რომლის მიზანია ეროვნული სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობის მოპოვება, მოითხოვს პარტიული სტრუქტურის ძირეულ შეცვლას, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წინასაყრილობო დოკუმენტების მთელ რიგ დებულებათა არსებით გადასინჯვას. როგორც ვიცით, ჩვენი ყრილობის დელეგატებს შორისაც არ არის ერთიანი აზრი, ერთნი ფიქრობენ, რომ რესპუბლიკის კომპარტია დაუყოვნებლივ უნდა გამოეყოს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას. სხვების აზრით კი, პირიქით, ყველაფერი ძველებურად უნდა დავტოვოთ. ჩვენი აზრით, მთავარი და ძირითადია, შევამუშაოთ საქართველოს კომპარტიის თავისთავადობისა და დამოუკიდებლობის სტატუსი, განვსაზღვროთ რესპუბლიკის კომპარტიის სხვა პოლიტიკურ ძალებთან ურთიერთობების პრინციპები. ასეთი პოზიცია უნდა დაიკავოს საქართველოს კომპარტიის დელეგაციამ საკავშირო ყრილობაზე. ამრიგად, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წინადადებას, რომელიც წინასაყრილობო შეხვედრებზე ჩამოყალიბდა, და რომელსაც მხარს უჭერს დელეგატთა უმრავლესობა, ვფიქრობთ, ჩვენი დღევანდელი ყრილობაც გაიზიარებს.

ყრილობის პირველი ეტაპის დამთავრების შემდეგ უნდა განვაგრძოთ მუშაობა საპროგრამო დოკუმენტების, მათ შორის მომავალი სტატუსის განხილვა პარტიულ ორგანიზაციებში. ამაში აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღოს ყველა კომუნისტმა, მთელმა საზოგადოებამ. ჩვენი აზრით, ასეთი მიდგომა ყველაზე სწორი და სასარგებლო იქნება.

ყრილობამ ისეთი გადაწყვეტილებები უნდა მიიღოს, რომლებსაც გაიზიარებს რესპუბლიკის კომუნისტთა უმრავლესობა. სწორედ ასეთი მიდგომა უზრუნველყოფს საქართველოს კომპარტიის ერთთანობას, მის ახალ თვისებრივ მდგომარეობას.

ასეთ ერთიანობას უაღრესად პრინციპული მნიშვნელობა აქვს კომპარტიის პოლიტიკური ავტორიტეტისათვის, რესპუბლიკის პარლამენტში მისი პოლიტიკური კურსის წარმატებით განხორციელებისათვის. ხელისუფლების რესპუბლიკური და ადგილობრივი ორგანოების მომავალი არჩევნები, რომლებიც პირველად გაიმართება მრავალპარტიულ საფუძველზე, სერიოზული გამოცდაა კომუნისტებისათვის. კომპარტიამ დაადასტურა მზადყოფნა ასეთი გამოცდისათვის, როცა გამოიჩინა ინიციატივა და ყველა პოლიტიკურ ძალასა და მოძრაობას მისცა საშუალება უკეთ გამოიყენონ თავიანთი შესაძლებლობანი, მოემზადონ არჩევნებისათვის.

რა თქმა უნდა, ჩვენი დიდი გამარჯვება იქნება, თუკი ხალხის სრულ ნდობას მოვიპოვებთ და ყველა დემოკრატიულ ძალასთან ჯვშირით შეეძლებთ რესპუბლიკის სუვერენიტეტის მიღწევის საკუთარი პროგრამის განხორციელებას. ამასთან ერთად მზად უნდა ვიყოთ მოვლენათა სხვაგვარი განვითარებისათვისაც, ახალი სტრუქტურების შექმნისათვის, დემოკრატიულ პოლიტიკურ სისტემაში ერთ-ერთი პარტიის სახით პარლამენტური მოღვაწეობისათვისაც. ძნელია წინასწარ განსაზღვრო სექტემბერ-ოქტომბერში პოლიტიკურ ძალთა თანაფარდობა საქართველოში.

ბევრი რამ იქნება დამოკიდებული ყრილობის გადაწყვეტილებებზე, ჩვენს რეალურ საქმეებზე, აქტიურ პოლიტიკურ მოღვაწეობაზე. მნიშვნელობა ექნება არა იმას, თუ რამდენი კომუნისტი იქნება დეპუტატთა ახალ კორპუსში და, შესაძლოა, არც იმას, თუ რამდენი მათგანი იდგება ჩვენი პროგრამის პლატფორმაზე, არამედ იმას, თუ რამდენად შეესაბამება ეს პროგრამა ხალხის პოლიტიკურ ნება-სურვილს, ხალხის განწყობილებას.

სხვანაირად რომ ვთქვათ, საარჩევნო კამპანიის წარმატებაწარუმატებლობის შეფასების კრიტერიუმი, უწინარეს ყოვლისა, არჩევნების ნორმალური, მშვიდ, დემოკრატიულ ვითარებაში ჩატარება იქნება. მთავარია, რამდენად იქნება უზრუნველყოფილი ხელისუფლების უმაღლეს ორგანოში ერის საუკეთესო ინტელექტუალური ძალების მოზიდვა. ვფიქრობთ, აქ გადამწყვეტი არ უნდა იყოს მათი ამა თუ იმ პოლიტიკური პლატფორმისადმი კუთვნილება.

ჩვენ რთულ, გარდამავალ პერიოდში ვცხოვრობთ. თითოეული ჩვენგანი უნდა ავმაღლდეთ ვიწროპარტიულ ინტერესებზე, წინა პლანზე დავაყენოთ საერთოსახალხო, ეროვნული თანხმობის ინტერესები. მხოლოდ ასე შეიძლება რესპუბლიკაში სტაბილური პოლიტიკური ვითარების უზრუნველყოფა.

როგორც უნდა გართულდეს მოვლენები, უნდა გვახსოვდეს და გვწამდეს, რომ რესპუბლიკის პარლამენტის მრავალპარტიულობის საფუძველზე არჩევა — უკვე ეს დემოკრატიული ძალების, ჩვენი პარტიის სერიოზული გამარჯვებაა, სწორედ ეს იქნება იმ დიდი და ისტორიული პროცესის ნაწილი, რომელიც საქართველოს კომპარტიას რეალურად გადაკვეთს ნამდვილ პოლიტიკურ ორგანიზატორად.

კომუნისტები, რომლებიც თავიანთ საპარლამენტო მანდატებს სხვა პოლიტიკურ ძალებთან და მოძრაობებთან თანასწორუფლებიან პირობებში მოიპოვებენ, თვალნათლივ იგრძნობენ თავიანთ უპირატესობას, ხალხის ნდობასა და მხარდაჭერას. ეს აუცილებელია, თუ გვსურს ცივილიზებული თანამედროვე პოლიტიკური პარტიის წევრებად ვიგრძნოთ თავი, ვიყოთ დემოკრატიული რესპუბლიკის მოქალაქეები.

ვფიქრობთ, ამისათვის არ უნდა დავიშუროთ არც ძალა და არც ენერგია. სწორედ ეს იქნება ამიერიდან პარტიის მუშაობის უმირითადესი მიმართულება.

საქართველოს კომპარტიის ერთიანობა საზოგადოების გათიშვის, დაპირისპირებისა და კონფრონტაციის თავიდან აცილების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გარანტია. უნდა ავმაღლდეთ პირად და ჯგუფურ ამბიციებზე, გვჭირდება ნამდვილი კონსოლიდაცია პოლიტიკური პლურალიზმის ბაზაზე. ეს საშუალებას მოგვცემს თანამიმდევრულად ვიაროთ წინ განახლებული ჰუმანური საზოგადოებისაკენ, დამოუკიდებელი, დემოკრატიული, სუვერენული საქართველოსაკენ!

დარწმუნებული ვართ, სწორედ ეს არის 90-იანი წლების საქართველოს კომუნისტთა ისტორიული მისია!

წარმატებით გვევლოს ამ გზით!

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კანონი

შიდს დაავადების პროფილაქტიკის შესახებ

მუხლი 1. სსრ კავშირის მოქალაქეებს, აგრეთვე უცხოელ მოქალაქეებსა და მოქალაქეობის არმქონე პირებს, რომლებიც ცხოვრობენ ან იმყოფებიან სსრ კავშირის ტერიტორიაზე, უზრუნველყოფილი აქვთ უფლება ჩაუტარდეთ სამედიცინო გამოკვლევა ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსის შეყრის (**შიდს** დაავადების) გამოსავლენად, მაგ შორის — ანონიმური. ჯანდაცვის ორგანოები და დაწესებულებები ვალდებული არიან უზრუნველყონ ასეთი შემოწმების უსაფრთხოება როგორც გამოსაკვლევი პირის, ისე სამედიცინო პერსონალისათვის.

მუხლი 2. პირებს, რომლებმაც ამ კანონით დადგენილი წესით გაიარეს შემოწმება ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსის შეყრის (**შიდს** დაავადების) შესახებ მონაცემების მიღებისას ჯანდაცვის ორგანოები და დაწესებულებანი წერილობითი ფორმით ატყობინებენ, რომ საჭიროა დაიცვან ამ დაავადების გავრცელების თავიდან აცილების ღონისძიებანი და ეკისრებათ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა მეორე პირისათვის დასნებოვნების საფრთხის განზრახ შექმნისა და დასნებოვნების გამო.

მუხლი 3. სსრ კავშირის მოქალაქენი, აგრეთვე უცხოელი მოქალაქენი და მოქალაქეობის არმქონე პირნი, რომლებიც სსრ კავშირის ტერიტორიაზე ცხოვრობენ ან იმყოფებიან, ვალდებული არიან ჯანდაცვის ორგანოებს დაწესებულებების გადაწყვეტილებით გაიარონ სამედიცინო გამოკვლევა, თუ არის საკმარისი საფუძველი იმის სავარაუდოდ, რომ ამ პირებს შეეყარათ ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსი.

დასნებოვნების გამოვლენისას აღნიშნული პირნი ექვემდებარებიან პროფილაქტიკურ მეთვალყურეობას.

შემოწმებისა და პროფილაქტიკური მეთვალყურეობის წესებს ადგენს სსრ კავშირის ჯანდაცვის სამინისტრო ამ კანონის დებულებათა შესაბამისად, წესები უნდა გამოქვეყნდეს და ხელმისაწვდომი იყოს გასაცნობად.

მუხლი 4. პირნი, რომელთა მიმართ ჯანდაცვის ორგანოებმა ან დაწესებულებებმა მიიღეს გადაწყვეტილება სამედიცინო შემოწმების ან პროფილაქტიკური მეთვალყურეობის თავისარიდების შემთხვევაში შეიძლება გაძევებულ იქნენ სსრ კავშირის ფარგლებიდან „სსრ კავშირში უცხოელ მოქალაქეთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ სსრ კავშირის 1981 წლის 24 ივნისის კანონის 31-ე მუხლის პირველი ნაწილის მე-2 პუნქტის შესაბამისად.

უცხოეთის დიპლომატიურ წარმომადგენლობათა და საკონსულო დაწესებულებათა დიპლომატი თანამშრომლები და სხვა პირნი, რომლებიც სსრ კავშირის ტერიტორიაზე დიპლომატის პრივილეგიებითა და იმუნიტეტით სარგებლობენ, ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსის შეყრაზე (**შიდს** დაავადებაზე) შეიძლება შემოწმებულ იქნენ მხოლოდ მათი თანხმობით. ასეთი პირებისათვის შემოწმების გავლის შეთავაზების წინადადებას სსრ კავშირის ჯანდაცვის სამინისტრო წინასწარ უთანხმებს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს.

მუხლი 6. მეორე პირისათვის ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსის შეყრის საფრთხის განზრახ შექმნა ან მეორე პირისათვის ამ ვირუსის შეყრა იმ პირის მიერ, ვინც იცის, რომ მას აქვს ეს დაავადება, — იწვევს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას.

მუხლი 7. მედიცინის მუშაკები და სხვა პირნი, რომლებმაც დაკისრებულ მოვალეობათა შესრულებასთან დაკავშირებით შეიტყვეს ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსის შეყრაზე (**შიდს** დაავადებაზე) სამედიცინო შემოწმების მოწყობის ცნობები და მისი შედეგები, ვალდებული არიან საიდუმლოდ შეინახონ ეს ცნობები.

მუხლი 8. სსრ კავშირის მოქალაქეებსა და მოქალაქეობის არმქონე პირებს, რომლებიც მუდმივად ცხოვრობენ სსრ კავშირის ტერიტორიაზე, ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსის შეყრის (**შიდს** დაავადების) შემთხვევაში აქვთ სამედიცინო და სოციალური დახმარების უფლება.

მათ უზრუნველყოფილი აქვთ უფასო მგზავრობა მკურნალობის ადგილისაკენ და უკან, აგრეთვე ამბულატორიულ პირობებში სამკურნალოდ საჭირო წამლების უფასოდ გაცემა. შობლებს ან მათ შემცვლელ პირებს უფლება აქვთ სტაციონარებში იყვნენ მცირეწლოვან შვილებთან (14 წლამდე ასაკისა) ერთად, ამასთან სამუშაოსაგან განთავისუფლდნენ სტაციონარში ყოფნის ვადით, ამასთან მიეცეთ სამუშაო ადგილზე აღნიშნული დროისთვის ერებთან შრომისუნუნარობის შემწეობა.

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით შეიძლება დაუწესდეთ სხვა შეღავათებიც ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსშეყრილ ან **შიდს**-ით დაავადებულ პირებს.

არ დაიშვება ასეთ პირთა სამუშაოდან დათხოვნა, სამუშაოდ მიღებაზე, სამკურნალო და სასწავლო დაწესებულებებში მიღებაზე, სკოლამდელ ბავშვთა დაწესებულებებში ბავშვთა მიღებაზე უარის თქმა, აგრეთვე ასეთ პირთა სხვა უფლებების შელახვა და კანონიერი ინტერესების შეზღუდვა მხოლოდ იმ საფუძველზე, რომ ისინი ვირუსმატარებლები ან **შიდს**-ით დაავადებულნი არიან, ისევე როგორც ინფიცირებული პირის ახლობელ-ნათესავების საბინაო და სხვა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების შელახვა.

მუხლი 9. სსრ კავშირის მოქალაქეებს, რომლებსაც ვირუსი შეეყარათ სამედიცინო მანიპულაციების შესრულების შედეგად, უდგინდებათ საეწყლო უზრუნველყოფა სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.

მუხლი 10. მედიცინისა და ფარმაცევტიკის მუშაკთა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსით დაავადება განეკუთვნება პროფესიულ დაავადებებს.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის პრეზიდენტი
მ. გორბაჩოვი.

მოსკოვი, კრემლი. 1990 წლის 23 აპრილი.

სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს დადგენილება

„შიდს დაავადების პროფილაქტიკის შესახებ“ სსრ კავშირის კანონის სამოქმედოდ შემოღების წესის თაობაზე

„**შიდს** დაავადების პროფილაქტიკის შესახებ“ სსრ კავშირის კანონის მიღებასთან დაკავშირებით, სსრ კავშირის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

1. დაევალოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ჩამოაყალიბოს სსრ კავშირში **შიდს** დაავადების წინააღმდეგ ბრძოლის სამთავრობო კომისია, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ხელმძღვანელობით, და დაეკისროს კომისიას სსრ კავშირში **შიდს** დაავადებასთან ბრძოლის ღონისძიებათა ორგანიზაციისა და განხორციელების მოვალეობანი.

2. მთავრობის კომისიამ შეი

უცხოეთში

15 მაისი

ბეიკერი მოსკოვშია

აშშ-ის სახელმწიფო მდივანი ჯეიმს ბეიკერი მოსკოვს ჩამოვიდა, სადაც შეხვდება ედუარდ შევარდნაძეს.

ათიოდე წლის წინათ ორი ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრების ნებისმიერი შეხვედრა მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ყურადღების ცენტრში იქნებოდა. დღეს კი როდესაც ამ ქვეყნების ხელმძღვანელთა კონტაქტებიც ლამის ჩვეულებრივ მოვლენად იქცა ჯ. ბეიკერის სამუშაო ვიზიტი მოსკოვში, რაღა თქმა უნდა, მოკლებულია სენსაციურობას და საქმიანი ატმოსფეროთია გარემოცული. საბჭოთა კავშირ-ამერიკის მოლაპარაკებების დღის წესრიგი ბოლო წლებში თითქმის უცვლელია: შეიარაღებაზე კონტროლი, ორმხრივი და სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები, ტრანსნაციონალური და რეგიონული პრობლემები, მაგრამ უმაღლესი დონის შეხვედრის წინ, რომელიც 30 მაის-3ივნ ის ს გაიმართება ვაშინგტონში, საგარეო პოლიტიკური უწყებების ხელმძღვანელებს კიდევ ბევრი დეტალი აქვთ დასაზუსტებელი და გასარკვევი.

საფიქრებელია, რომ მინისტრები ყურადღებას ძირითადად შეიარაღებაზე კონტროლის საკითხებს დაუთმობენ, ვინაიდან სწორედ ამ სფეროში გაჩენილი პრობლემები მოითხოვს მხარეთა პოზიციებში სიცხადის შეტანას. დავიწყოთ იმით, რომ ჟურნალ „ტაიმის“ ცნობით, პრეზიდენტმა ჯ. ბუშმა ჯერ კიდევ მარტში თავის საბჭოთა კოლეგას გაუგზავნა საიდუმლო წერილი, რომელშიც შესთავაზა ყველაზე სახიფათო ბირთვული იარაღის — სახმელეთო ბაზირების მრავალქობინიანი ბალისტიკური რაკეტების სრული ლიკვიდაცია. პრეზიდენტმა მ. გორბაჩოვმა საპასუხო წერილში კონკრეტიზადადება წამოაყენა — კერძოდ, ამ ტიპის საზღვაო ბაზირების რაკეტების ლიკვიდაციაც. ამერიკელი სამხედრო ექსპერტები თვლიან, რომ ანალმა ორმაგმა ინიციატივამ შეიძლება დაამუხრუჭოს მიმდინარე მოლაპარაკებები სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების 50 პროცენტით შემცირების შესახებ და გარკვეული ვადით გადადოს შესაბამისი ხელშეკრულების მომზადება.

მეორე პრობლემა ევროპაში განლაგებულ ბირთვულ იარაღთან არის დაკავშირებული. როგორც ცნობილია, ვაშინგტონის 1987 წლის ხელშეკრულების თანახმად, ანლა გრძელდება საშუალო და ნაკლები სიშორის ბირთვული რაკეტების ლიკვიდაცია. შარშან ნატოში აქტიურად განიხილავდნენ მცირე სიშორის ამერიკული რაკეტის „ლანსის“ მოდერნიზაციის საკითხს. მაგრამ მაისის დასაწყისში პრეზიდენტმა ჯ. ბუშმა გამოაცხადა, რომ აშშ უარს აცხადებს ამ გეგმებზე. ახლა კი პრესაში კვლავ გამოჩნდა მონაცემები იმის შესახებ, რომ ჩრდილოატლანტიკური ალიანსი დაუბრუნდა დასავლეთ ევროპაში ახალი სისტემების განლაგების საკითხს. ინგლისური გაზეთი „გარდიანი“ 6 მაისს წერდა, რომ ამერიკის სამხედრო-საჰაერო ძალები შეუდგნენ ინგლისური ბაზების მომზადებას ახალი თაობის ბირთვული შეიარაღების — „ჰაერიზედაპირის“ კლასის ტაქტიკური რაკეტების განლაგებისათვის. საქმე ეხება საჰაერო ბაზირების 389 ახალ რაკეტას, რომელთა სიშორე 400 კმ-ია და რომელთა განლაგებაც ფ-15, ფ-6 და ფ-111 ტიპის თვითმფრინავებზეა დაგეგმილი (თვითმფრინავ ფ-111-ის მოქმედების რადიუსის გათვალისწინებით ეს რაკეტები შეძლებენ მიაღწიონ სამიზნეებს, რომლებიც 2400 კილომეტრით არის დაშორებული სამხედრო ბაზებს). ეს საკითხი განიხილეს ნატოს ბირთვული დაგეგმვის ჯგუფის ორდღიან სესიაზე, რომელიც ახლახან გაიმართა კანადის საკურორტო ქალაქ კანანასკისში.

დაბოლოს, 14 მაისს ვენაში დაიწყო ნატოსა და ვარშავის ხელშეკრულების 23 სახელმწიფოს მოლაპარაკების მეშვიდე რაუნდი, რომელმაც პასუხი უნდა გასცეს კითხვას — იქნება* თუ არა მზად წლის ბოლოსთვის ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღებების და შეიარაღებული ძალების შემცირების ხელშეკრულება. ახლა დასასრულს უახლოვდება საბოლოო დოკუმენტის ზოგიერთი საკვანძო დებულების შეთანხმება და პოლიტიკური კომენტატორები თვლიან, რომ ჯ. ბეიკერის სამუშაო ვიზიტი მოსკოვში ახალ იმპულსს მისცემს ვენის ფორუმს.

ორი ქვეყნის ურთიერთობის ნორმალიზაციისა და მნიშვნელოვანი გაუმჯობესების მიუხედავად, მათ შორის ჯერ კიდევ ბევრია უნდობლობა — ზოგჯერ გამართლებული, ზოგჯერაც უსაფუძვლო. ერთი სიტყვით, საგარეო საქმეთა მინისტრებს სამუშაო საკმარისზე მეტი აქვთ და კიდევაც ექნებათ.

გ. ბურდული.

ფრთხილი პოზიცია

ლონდონი. გარდაქმნა საბჭოთა კავშირში შეეხებამება დასავლეთის სახიფიცხლო ინტერესებს, განაცხადა დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა და თანამეგობრობის მინისტრმა დუგლას ჰერდმა.

უცხოური პრესის ასოციაციის ყოველწლიურ სადილზე გამოსვლისას მან აღნიშნა, რომ მართვის ძველი მექანიზმის დანგრევამ, როდესაც ჯერ კიდევ არ არის შექმნილი ახალი, გააძნელა პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები საბჭოთა კავშირში.

ამ რთულ პირობებში, განსაკუთრებით ნაციონალისტური ტენდენციების გაძლიერების ფონზე, თქვა ჰერდმა, დასავლეთი ძალზე ფრთხილ პოლიტიკას უნდა დაადგეს, არ უნდა შეუქმნას საბჭოთა კავშირს შთაბეჭდილება, თითქოს მის საშინაო საქმეებში ერეოდეს. რა თქმა უნდა, სსრკ შემადგენლობაში შემავალ რესპუბლიკებს, მათ შორის ლიტვას, აქვთ თვითგამორკვევის უფლება, მაგრამ ჩვენ არ უნდა მივუთითოთ, თუ როდის და როგორ უნდა იყოს უზრუნველყოფილი ეს უფლება, — დასძინა მინისტრმა.

ინტერვიუ

ლონდონი. ჰადრაკში მსოფლიო ჩემპიონმა გარი კასპაროვმა ინგლისურ გაზეთ „ობსერვერისათვის“ მიცემულ ინტერვიუში გაანცხადა, რომ იგი „გამოვიდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიიდან და ცდილობს შეკრიბოს მოსკოვში სხვადასხვა პოლიტიკურ დაჯგუფებათა წარმომადგენლები, რათა შექმნას ახალი რადიკალურ დემოკრატიული პარტია“.

ამჟამად საფრანგეთში მყოფმა 26 წლის გ. კასპაროვმა, რომელიც, როგორც გაზეთი აღნიშნავს, ადრე საკავშირო აღკაზ ცენტრალური კომიტეტის წევრი იყო, თქვა: დაკარგე ყოველგვარი რწმენა, რომ საბჭოთა ხელმძღვანელობას უნარი შესწევდეს გარდაქმნას საბჭოთა საზოგადოება. მისი თქმით, „ახალი პარტია მიზნად დაისახავს გაიერთიანოს სხვადასხვა ანტიკომუნისტური დაჯგუფებანი, მათ შორის საბჭოთა პარლამენტის ზოგიერთი წევრი ერთიან წინასაარჩევნო ძალად, რომელიც შეძლებს შეცვალოს საზოგადოებრივი სისტემა, შემოიღოს საბაზრო ეკონომიკა და დემოკრატია“.

„დადგა დრო, როცა ანტიკომუნისტურმა ძალებმა ქუჩებიდან პარლამენტში უნდა გადაინაცვლონ, — აღნიშნა გ. კასპაროვმა. — კომუნისტები 75 წლის განმავლობაში ხოცავდნენ პოტენციურ კაპიტალისტებს. კაპიტალისტებმა ამის პასუხად არ უნდა ხოცონ კომუნისტები ველური რუსული ტრადიციისამებრ. ჩვენ ანტიკომუნიზმი უნდა წარვმართოთ კონსტრუქციული კალაპოტით. არსებითად ჩვენ ვიბრძვით იმისათვის, რომ მივაღწიოთ პოლიტიკურ სტაბილურობას ეკონომიკური თავისუფლების საშუალებით. ჩვენ უნდა მოვახდინოთ ეკონომიკის დენაციონალიზაცია, და გამოვიყენოთ მიღებული სახსრებიც ნაწილი სოციალური უზრუნველყოფის სისტემის შექმნისა და იმათი გადასახადების შემცირებისათვის, ვინც დაზარალდება ცვლილებების გამო.

გაზეთ „ობსერვერისათვის“ მიცემული ინტერვიუ გ. კასპაროვის პირველი ცდა როდია ხელი მიჰყოს პოლიტიკას. ამერიკის ჟურნალ „პლეიბოისათვის“ მიცემულ ამასწინანდელ ინტერვიუში მან „ფანტასტიკურ იდეად“ წამოაყენა, მიჰყიდონ კურილის კუნძულები იაპონიას, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა — დასავლეთ გერმანიას, ხოლო მონღოლეთი — ჩინეთს.

ტელეტაიპის ლენტიდან

ბუდაპეშტი. უნგრეთის პარლამენტის საგარეო საქმეთა კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება, არ დაუშიროს მხარი თავისუფალი დემოკრატიებს კავშირის ინიციატივას, ვარშავის ხელშეკრულებიდან უნგრეთის შესაძლო გამოსვლის საკითხის ქვეყნის სახელმწიფო კრებაში სასწრაფო განხილვის შესახებ.

ლონდონი. დედამიწის მოსახლეობამ 5,8 მილიარდ ადამიანს მიაღწია და 2000 წლისათვის კიდევ ერთი მილიარდით გაიზრდება. ასეთ პროგნოზს შეიცავს აქ გამოქვეყნებული გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მოსახლეობის დარგში მოღვაწეობის ფონდის მოხსენება.

დელი. შეჯამეს ტრაგიკული შედეგები მძლავრი ციკლონისა, რომელიც ინდოეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროს დაატყდა თავს გასულ კვირას. წინასწარი მონაცემებით, სტიქიამ 514 კაცი იმსხვერპლა, დაზარალებულთა საერთო რიცხვმა კი 6,5 მილიონს მიაღწია.

გარი კასპაროვის ინტერვიუ

ლონდონი. ჰადრაკში მსოფლიო ჩემპიონმა გარი კასპაროვმა ინგლისურ გაზეთ „ობსერვერისათვის“ მიცემულ ინტერვიუში გაანცხადა, რომ იგი „გამოვიდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიიდან და ცდილობს შეკრიბოს მოსკოვში სხვადასხვა პოლიტიკურ დაჯგუფებათა წარმომადგენლები, რათა შექმნას ახალი რადიკალურ დემოკრატიული პარტია“.

ამჟამად საფრანგეთში მყოფმა 26 წლის გ. კასპაროვმა, რომელიც, როგორც გაზეთი აღნიშნავს, ადრე საკავშირო აღკაზ ცენტრალური კომიტეტის წევრი იყო, თქვა: დაკარგე ყოველგვარი რწმენა, რომ საბჭოთა ხელმძღვანელობას უნარი შესწევდეს გარდაქმნას საბჭოთა საზოგადოება. მისი თქმით, „ახალი პარტია მიზნად დაისახავს გაიერთიანოს სხვადასხვა ანტიკომუნისტური დაჯგუფებანი, მათ შორის საბჭოთა პარლამენტის ზოგიერთი წევრი ერთიან წინასაარჩევნო ძალად, რომელიც შეძლებს შეცვალოს საზოგადოებრივი სისტემა, შემოიღოს საბაზრო ეკონომიკა და დემოკრატია“.

„დადგა დრო, როცა ანტიკომუნისტურმა ძალებმა ქუჩებიდან პარლამენტში უნდა გადაინაცვლონ, — აღნიშნა გ. კასპაროვმა. — კომუნისტები 75 წლის განმავლობაში ხოცავდნენ პოტენციურ კაპიტალისტებს. კაპიტალისტებმა ამის პასუხად არ უნდა ხოცონ კომუნისტები ველური რუსული ტრადიციისამებრ. ჩვენ ანტიკომუნიზმი უნდა წარვმართოთ კონსტრუქციული კალაპოტით. არსებითად ჩვენ ვიბრძვით იმისათვის, რომ მივაღწიოთ პოლიტიკურ სტაბილურობას ეკონომიკური თავისუფლების საშუალებით. ჩვენ უნდა მოვახდინოთ ეკონომიკის დენაციონალიზაცია, და გამოვიყენოთ მიღებული სახსრებიც ნაწილი სოციალური უზრუნველყოფის სისტემის შექმნისა და იმათი გადასახადების შემცირებისათვის, ვინც დაზარალდება ცვლილებების გამო.

გაზეთ „ობსერვერისათვის“ მიცემული ინტერვიუ გ. კასპაროვის პირველი ცდა როდია ხელი მიჰყოს პოლიტიკას. ამერიკის ჟურნალ „პლეიბოისათვის“ მიცემულ ამასწინანდელ ინტერვიუში მან „ფანტასტიკურ იდეად“ წამოაყენა, მიჰყიდონ კურილის კუნძულები იაპონიას, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა — დასავლეთ გერმანიას, ხოლო მონღოლეთი — ჩინეთს.

კონტაქტები

ჩვენი „ორეული“ საფრანგეთში

პარიზი. მახლობლად, 350 კილომეტრის დაშორებით მდებარეობს ქალაქ ვისშია, აქ ნაყოფიერად მოქმედებს ფრანგული ფირმა „პენტემელექსი“. იგი თურმე მსოფლიო ბაზარზე ცვლის ან ყიდის თითქმის ზუსტად იმგვარი სახეობის ელექტრომოწყობილობებს, როგორსაც თბილისის „ელექტროაპარატის“ საწარმოო გაერთიანება უშვებს. ამ ფაქტის არსებობის შესახებ შეიძლება, ვერც ვერასოდეს გაგვიგო, ერთი გარემოება რომ არა. ამას წინათ, საქართველოში საქმიან ვიზიტად იმყოფებოდა აღნიშნული ფირმა „პენტემელექსის“ დირექტორი ჟიულ ფორსიე და მისი მოადგილეები კომერციულ, საერთაშორისო და ეკონომიკურ დარგებში. მათ სრულიად შემთხვევით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შენობაში, საზღვარგარეთთან ურთიერთობის განყოფილების ერთ-ერთ საგამოფენო კუთხეში თვალი შეავლეს იმ ანალოგიურ პროდუქციას, რომელსაც შორეულ სამშობლოში თვითონვე ამზადებდნენ. ამით გამოწვეული სიხარული და ღიმილი ვერ დაფარეს. ფრანგები დაინტერესდნენ თავიანთი ნაწარმის „ორეულით“ და ბევრი რამეც გაარკვიეს. დათვალიერეს გაერთიანება „ელექტროაპარატში“ შემავალი საწარმოები და მის ხელმძღვანელობას შეპირდნენ, რომ შინ დაბრუნებისთანავე მიწვევას გამოგზავნიდნენ საქართველოში.

მალე მართლაც ასე მოხდა. გენერალური დირექტორი გურამ გზირიშვილი საფრანგეთში გაემგზავრა. პარტნიორებმა მას გულითადი მასპინძლობა გაუწიეს. ამ შეხვედრის შესახებ წერდა ფრანგული გაზეთი, ხოლო ტელევიზიამ მას ორჯერ უძღვნა სპეციალური გადაცემა, ერთი მათგანი საერთაშორისო არხითაც კი გადაიცა. დღევანდელ პირობებში ყველასათვის კარგად არის ცნობილი, თუ რა დიდი მნიშვნელობა ენიჭება ერთობლივი საწარმოების შექმნას, ამის საფუძველზე კი ქარხანაში სავალუტო ფონდის გამდიდრებას, ეს ხომ ფაქტობრივად მის მომავალ კეთილ ცხოვრებას განაპირობებს. იოლი ხდება მანქანა-დანადგარების შეძენა და მათი დამონტაჟება, ტექნოლოგიური ხაზების შეცვლა, წარმოების ავტომატიზაცია და სხვ. სწორედ ამ მიზანს ისახავს ფრანგული და ქართული ერთობლივი საწარმოების ჩამოყალიბება, თუმცა ამაზე უკეთ გურამ გზირიშვილი გვესაუბრება:

— თქვენ მართალი ხართ, — გვითხრა მან, — საფრანგეთში დამზადებული პროდუქცია ტყუპისცალივით ჰგავს ჩვენსას, ამასთან იგი მსოფლიო სტანდარტებს შეესაბამება და მაღალი ხარისხით გამოირჩევა. თუმცა ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ აქ ელექტრომოწყობილობების გარდა, დამატებით უშვებენ ალუმინის ფანჯრებს, მინებს, ვიტრაჟებს, სხვა მხრივ ჩვენი პროდუქცია ვრთგვაროვანია. ჩემმა მასპინძლებმა, ბატონმა ჟიულმ და სხვებმა მოვილაპარაკეთ თბილისის გაერთიანების ბაზაზე შეექმნათ სამი ერთობლივი საწარმო. აქედან ერთი ამოქმედდება ჩვენი მეთაური ქარხნის ტერიტორიაზე, სადაც ტრანსფორმატორებს დაამზადებენ. უნდა ითქვას, რომ ფრანგებს საკმაოდ მოეწონათ ეს პროდუქცია და სწორედ მის გამოსაშვებად ქარხანამ 800 კვადრატული მეტრი ფართობი უკვე გამოჰყო. გაერთიანებაში შემავალი ელექტროავტომატის ქარხანაში დავამზადებთ ვიტრაჟებს, ხოლო მესამე საწარმოს კი კასპში ვავხსნით, სადაც ერთობლივად მსხვილპანელიან ბლოკებს გამოვუშვებთ. ჩვენი შეთანხმება ასეთია, საბოლოოდ კი ოფიციალურად ორმხრივი კონტრაქტი მაისივნისში უნდა გაფორმდეს, როცა ჩვენთან კვლავ ჩამოვა ფირმა „პენტემელექსის“ დირექტორი. იმედი გვაქვს მთავრობა ჩვენს გადაწყვეტილებას გაიზიარებს. სხვა სასიხარულო ფაქტის შესახებაც გვინდა გითხრათ, როცა ფრანგულმა ტელევიზიამ ჩვენზე ფართო საზოგადოებრიობისათვის ფირმის დირექტორის ინტერვიუ გადასცა, მოსმენილი ფაქტით დაინტერესებულა სხვა ფრანგული ფირმა „ლევსტანგი“. ამის შესახებ მალე გავიგეთ, და ჩვენთან კავშირის დამყარების სურვილით აღგილზე გვეწვივნენ ფირმის წარმომადგენლები — კონსულტანტი ჯონს ბრესლევეიი და სხვები. მათ შემოგვთავაზეს ერთობლივი საწარმოს შექმნა, რომელიც ფართო მოხმარების საგნებს — ელექტროჩამრთველსა და გადამრთველს დაამზადებს.

„ელეტროაპარატის“ საწარმოო გაერთიანების კოლეტივს, მის ხელმძღვანელობას, მართლაც რომ კეთილი მიზნები აქვს, რომლის დაჩქარებული განხორციელება გზას გაუხსნის მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესს, ხელს შეუწყობს სოციალური აქტიურობის განვითარებას. ერთობლივი საწარმოები, რომლებსაც ახლა ეყრება საფუძველი, სწორედ რომ თითოეულ აქ მომუშავეს წაადგება და მათს ყოველდღიურ საქმიანობას მეტ გერგილიანობასა და ხალისს მიანიჭებს.

ლალი ჟინჟლაძე.

ქართული ფოტოხელოვნება ამერიკაში

საქართველოს ფოტოხელოვანთა კავშირის სამხატვრო საბჭო შეუდგა მზადებას ქართული ფოტოგრაფიის პირველი დიდი რეტროსპექტული გამოფენისათვის, რომელიც დაგეგმილია მოეწყოს ამერიკის შეერთებულ შტატებში მიმდინარე წლის მეორე ნახევარში.

ეს გამოფენა ეწყობა სსრ კავშირში ამერიკის შეერთებული შტატების ელჩის დ. მეტლოკის მეუღლის, საქართველოს ფოტოხელოვანთა კავშირის თავმჯდომარის ქალბატონ რებეკა მეტლოკის თაოსნობითა და დახმარებით, რომლის პერსონალური ფოტოგამოფენაც ამ ცოტა ხნის წინათ წარმატებით მოეწყო თბილისში.

როგორც საქართველოს ფოტოხელოვანთა კავშირის თავმჯდომარემ, ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ სიმონ კილაძემ გვითხრა, ამ გამოფენის კოლექცია აირჩევა საუკეთესო ქართველ ფოტოხელოვანთა ყველა სახის და ჟანრის ნამუშევრებიდან: იქნება ფერადი და შავ-თეთრი პეიზაჟები, ისტორიულ ძეგლთა მხატვრული ფოტოები, ჟანრული და რეპორტაჟული სურათები, ერთი სიტყვით, ყველაფერი, რაც კი ჯეროვნად და მაღალმხატვრულად წარუდგენს უცხოელ მნახველს უძველეს და უნიკალურ ქართულ კულტურას და საქართველოს თანამედროვეობას, ქართველი ხალხის ადათ-წესებსა და ყოფას, ეთნოგრაფიას, ხელოვნებას, საქართველოს ქალაქებს, სოფლებს, მის ულამაზეს კუთხეებს.

ექსპოზიციის ნაწილი დაეთმობა ისტორიულ ფოტოგრაფიას, რომელშიც წარმოდგენილი იქნება ქართული ფოტოგრაფიის ფუძემდებლის — ალექსანდრე როინიშვილისა და დიმიტრი ერმაკოვის ნამუშევრები. („კომუნისტის“ კორ.).

ქვეყნმოქმედება

მადლი ჰქმენ და...

ქველმოქმედება დროის მოთხოვნად იქცა. საზოგადოების ცხოვრებაში მიმდინარე დემოკრატიზაციის პროცესმა, დათბობამ ყინული გააღლო. ადამიანებმა ბევრი რამ ახლებურად დაინახეს. ისიც, რომ ჩვენი ცხოვრება სულაც არ ყოფილა ისეთი ვარდისფერი, როგორიც აქამდე გვეგონა, უფრო სწორად, როგორც აქამდე გვასწავლიდნენ და ჩაგვჩიჩინებდნენ, რომ ჩვენს გვერდით უამრავი გაჭირვებული, სიღატაკის ზღვარზე და ამ ზღვარის ქვემოთ მცხოვრები ადამიანია, რომ უჭირთ მრავალშვილიანებს, პენსიონერებს, უჭირთ ლუკმაპური, ბინა. საჯაროობამ, ადრე ტაბუდადებულის ხმამაღლა თქმამ, თვალიც აგვიხილა და გულმოწყალება სულიერ მოთხოვნილებადაც გვიქცია.

მისაბაძია თბილისის საქარხნო რაისაბჭოს აღმასკომის საქველმოქმედო საქმიანობა, ახლახან, რაიონის ბიუჯეტის 1990 წლის 1 იანვრისათვის რიცხული ზეგეგმიური ნაშთის ხარჯზე რაიონის ქალთა საბჭოს მრავალშვილიანი დედების, მარტოხელა მოხუცების, ეკონომიკურად ხელმოკლე ოჯახების, ობოლი ბავშვებისათვის 15 ათასი მანეთი გამოეყო, ხოლო მოსახლეობის განსახლებისა და დახმარების მერაბ კოსტავას სახელობის ფონდს — 100 ათასი მანეთი.

აღმასკომთან შექმნილმა რუსთაველის საზოგადოებამ ინიციატივა გამოიჩინა და წინადადება წამოაყენა ქართული მოსახლეობისათვის ბოლნისში საცხოვრებელი ბინების შესაძენად ფულადი სახსრების გამოყოფის შესახებ. აღმასკომმა მიიღო ეს წინადადება და რაიონის ჯარბი შემოსავლებიდან 120 ათასი მანეთი გამოჰყო. ასევე ბიუჯეტის ჯარბი შემოსავლებიდან 55 ათასი მანეთი ჩაირიცხა შოთა რუსთაველის ძეგლისა და „ქართველის დედის“ ქანდაკების სარესტავრაციო-სამშენებლო სამუშაოების დასაფინანსებლად.

გაზეთების საქარხნო რაისაბჭოს აღმასკომის ერის მაჯისცემას მიდევნებული ნაბიჯები.

ინგა ალავიძე.

ეს სიახლეა

ღირსება — თვითგაქრობა

ვთქვათ, პოლიეთილენის პარკი გადაგდეთ, რა მოუვა? იმის იმედი, რომ ვინმე კიდევ გამოიყენებს, რა თქმა უნდა, არ არის:ჩვენს ქვეყანაში განმეორებით პოლიეთილენის სულ 0,6 პროცენტი მუშავდება. ნაგავში გადაგდებული პოლიეთილენის გამოყენება ძნელია, მეტისმეტად ჭუჭყიანდება, მაგრამ ვერც ნიადაგში დავტოვებთ, ძალიან ბევრი იყრება,ძალზე დიდხანს — საუკუნეებით გრძელდება პოლიეთილენის სრული დაშლის პროცესი.

დაახლოებით 15 წლის წინათ ბევრ ქვეყანაში სცადეს შეექმნათ თვითგამქრობი პოლიეთილენი. ამ პრობლემის გადაჭრის ერთ-ერთ ხერხს მიაგნეს ბელორუსიის კიროვის სახელობის ტექნოლოგიური ინსტიტუტის თანამშრომლებმა. პოლიეთილენის მასაში მცირეოდენი რაოდენობით აზავებენ ლითონორგანულ შენაერთებს — ფეროცენს. ეს ნივთიერებანი და ჟანგბადი, რომელიც პოლიეთილენში შედის ჰაერიდან, სწრაფად იხსნება პოლიმერში. როცა ასეთი აფსკი მზის სინათლეზე მოხვდება, ფეროცენი რეაგირებს ჟანგბადზე და იგი აქტიურ მდგომარეობაში გადაჰყავს. ამისა და ზოგიერთი სხვა პროცესის შედეგად პოლიმერის მოლეკულა დაახლოებით ათ ნაწილად იშლება.

თვითგაქრობადი პოლიეთილენის აფსკის გამოშვება დაიწყო ლენინგრადის სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „პლასტპოლიმერმა“. მისი არსებობის ვადაა თვე-ნახევრიდან ერთ წლამდე.

დრო და ხელოვანი

საქართველოს ბუნების სუნთქვა



ქართული პეიზაჟური ფერწერა ეროვნული სულის ერთ-ერთი ნათელი გამოვლენაა. სხვაგვარად, ალბათ, არც შეიძლება ყოფილიყო, რამეთუ თავად ბუნება — შემოქმედი აღვიძებს ადამიანში, ასაზრდოებს და აწრთობს მის ნიჭს, მუდამ თავისთავადსა და სხვათაგან გამორჩეულს. სწორედ ამ გამორჩეულ ხმათა მრავალფეროვნება უაღრესად მდიდრულად წარმოგვიდგენს ჩვენი ეროვნული მხატვრობის ამ ჟანრს.

მიხეილ ხვიტია ქართული პეიზაჟური ფერწერის სათავეებთან მდგომი დიდოსტატის ალექსანდრე ციმაკურიძის მოწაფეა. მისი ხელმძღვანელობით სწავლობდა და დაამთავრა თბილისის სამხატვრო აკადემია 1948 წელს და უკვე იმთავითვე მიიპყრო ყურადღება. როგორც ფაქიზი ხელდის თვითმყოფადმა პეიზაჟისტმა.

თუმცა ხვიტიას შემოქმედებას საქართველოს დემოგრაფიულ საზოგადოებას ჩაერიცხა 100 ათასი მანეთი. ეს თანხა ქართველი ერის გამრავლებას და მის კეთილდღეობას მოხმარდება.

ამას წინათ თბილისში მრავალშვილიანი ოჯახების თავყრილობა გაიმართა. გამორჩეულ ქართველ ოჯახებს საჩუქრები და ფულადი ჯილდოები გადაეცათ. მარნეულის რაიონში ფუძე ეყრება ახალ ქართულ სოფელს, სადაც ჩასახლდებიან რესპუბლიკის გარეთ მცხოვრები ქართველები. ამ ეროვნული საქმეებისათვის აღმასკომმა 20 ათასი მანეთი გაიღო. 55 ათასი მანეთი ჩაირიცხა შოთა რუსთაველის ძეგლისა და „ქართველის დედის“ ქანდაკების სარესტავრაციო-სამშენებლო სამუშაოების დასაფინანსებლად.

ეროვნული ფერწერა ეროვნული ეკლესიის ერთ-ერთ ბოძად ითვლება, ამ ანგარიშით დამარცხებად გერმანელი ჩოგბურთელის რეპუტაციას სეროზული ჩრდილი მიაყენა.

დასავლეთ ბერლინის ტრადიციულ ტურნირში მონაწილეობს თბილისელი ჩოგბურთელი ლელა მესხი, რომელმაც ძლიერად ჩაატარა პირველი წრის შეხვედრა სამხრეთაფრიკელ ამანდა კოტცერთან და იოლად გაიმარჯვა — 6:0; 6:0.

რედაქტორი მინდია უბრეხელიძე.

„ქომუნისტის“ ფოტოკონკურსი

სოფლის დილა. **დავით იაკობაშვილის ფოტო.**

პრემიერა

„შალვა შაჰად წოდებული“

ზესტაფონი. (საკ. კორ). მრავალ შთამბეჭდავ ღონისძიებას ახორციელებს შორაპნის სამეცნიერო-საწარმოო კოლექტივი „მარსის“ მუშათა კლუბთან არსებული მინიატურების სახალხო თეატრი. გასული წლის სეზონში მაყურებელმა ნახა ოთხი ახალი დადგმა, რომლებსაც დიდი წარმატება ხვდათ. ბოლო ხანს სახალხო თეატრის შემოქმედებას გაეცნენ არა მარტო ზესტაფონის და მისი მეზობელი რაიონების თეატრის მოყვარულები, არამედ სიღნაღის, ლაგოდეხის და ყვარლის მშრომელებიც.

სახალხო თეატრის კოლექტივმა მაყურებელს მორიგ პრემიერად უჩვენა კლუბის დირექტორის ი. მჭედლიძის პიესა „შალვა შაჰად წოდებული“. დადგმა განახორციელა რეჟისორმა ეთერ მუხურაძემ, მხატვრობა ეკუთვნის თვითნასწავლ მხატვარს მურად შველიძეს, მუსიკალური გაფორმება თამარ გოგბერაშვილს და ომარ გოგსაძეს, ქორეოგრაფია გარსევან მემანიშვილს, როლებს ასრულებდნენ საკავშირო ფესტივალის ლაურეატები იური მჭედლიძე და ელგუჯა ბეჭეუაშვილი, შსახიობები: კობა მჭედლიძე, გოჩა გაბუნია, ქეთინო ბოგვერაძე, რეზო ჭულუხაძე, შოთა მაწონაძე, ხათუნა მანჯავიძე, ლია ბექაური.

პრემიერა მაყურებელმა გულთბილად მიიღო.

საბურნირო ორბიტა

ქიუდო. მაინის ფრანკფურტში დასრულდა ევროპის ჩემპიონატი, რომელიც ფრანგი ძიუდოისტების უპირატესობით აღინიშნა: საერთო გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს როგორც ვაჟმა, ასევე ქალმა ძიუდოისტებმა.

საბჭოთა ნაკრებმა ორი ოქროსა და სამი ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. კონტინენტის ჩემპიონები გახდნენ: გროზნოელი ბაშირ ვარაევი (78 კგ-მდე) და კუიბიშეველი სერგეი კოსოროტოვი (95 კილოგრამამდე ზევით).

ბრინჯაოს მედლებს ჩვენი მოჭიდავეები დაეუფლნენ: მსოფლიოს ჩემპიონები, ევროპის შარშანდელი პირველობის გამარჯვებულნი — თბილისელი ამირან ტოტიკაშვილი (60 კგ-მდე) და გორელი კობა კურტანიძე (95 კგ-მდე), აგრეთვე ნაკრების დებიუტანტი, ქუთაისელი დავთი ხალელიშვილი (აბსოლუტური კატეგორია) საპრიზო ადგილებს მიღმა დარჩნენ გია თენგაძე და გურამ მოდებაძე.

ვოლეიბოლი. თბილისში გაიმართა საქართველოს ტელევიზიის „დიდი პრიზის“ საერთაშორისო ტურნირი, რომელსაც დედაქალაქის ცენტრალურმა ვოლეიბურმამ უმასპინძლა. სპრინტერთა შეჯიბრებაში ტრადიციულად გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენელმა — იენს ფიდლერმა მიაღწია წარმატებას. იგი უძლიერესი იყო 200 მეტრზე ჰიტშიც — 10.54 წამი.

სამწუხაროდ, მაყურებლებმა ვერ იხილეს ცნობილი ქართველი სპრინტერი ოთარ მჭედლიშვილი, რომელიც ასპარეზობის წინ ავად გახდა.

ფეხბურთი. დღეს დედაქალაქის ცენტრალურ საწყლოსნოსპორტული კომპლექსის აუზში სტარტს იღებს წყალბურთელთა მორიგი საერთაშორისო ტურნირი საქართველოს ჟურნალისტთა კაშირის პრიზზე.

ტურნირში მონაწილეა რვა გუნდი ორ ქვეჯგუფში ისასპარეზებს. პირველში გაერთიანდნენ სსრ კავშირის ორი ნაკრები, საბერძნეთის და ბულგარეთის კოლექტივები, მეორეში კი რუმინეთის, უნგრეთის, თურქეთისა და საქართველოს ნაკრები გუნდები. მატჩები წრიული სისტემით გაიმართება. ჯგუფებს შორის გამარჯვებულები 20 მაისს ფინალურ შეხვედრაში შეხვდებიან ერთმანეთს.

ჩოგბურთი. ჰამბურგში დასრულებული ვაჟ ჩოგბურთელთა დიდი საერთაშორისო ტურნირი სენსაციური შედეგებით მდიდარი გამოდგა. „განთესილ“ სპორტსმენთაგან მხოლოდ დასავლეთგერმანელი ბორის ბეკერი შემორჩა გადამწყვეტ მატჩებამდე, დანარჩენებმა საწყის ეტაპებზევე დაკარეს ფარ-ხმალი.

და აი, ფინალში ბეკერის პირისპირ წარსდგა 28 წლის ესპანელი ხუან აგილერა. სწორედ აქ იშვა მთავარი სენსაცია — მსოფლიოს 26-ე ჩოგანმა პირდაპირ გასაოცარა მრისხანე მეტოქე — 6:1, 6:0, 7:6. მიუხედავად იმისა, რომ „ნელ“ კორტებზე თამაში არ არის ბეკერის სტიქია, აგილერა კი ამგვარი გრუნტების სპეციალისტად ითვლება, ამ ანგარიშით დამარცხებად გერმანელი ჩოგბურთელის რეპუტაციას სეროზული ჩრდილი მიაყენა.

დასავლეთ ბერლინის ტრადიციულ ტურნირში მონაწილეობს თბილისელი ჩოგბურთელი ლელა მესხი, რომელმაც ძლიერად ჩაატარა პირველი წრის შეხვედრა სამხრეთაფრიკელ ამანდა კოტცერთან და იოლად გაიმარჯვა — 6:0; 6:0.

თბილისის სახელმწიფო ქორეოგრაფიული სასწავლებელი

აცხადებს მიღებას 1990-91 სასწავლო წლისათვის ქართულ და რუსულ სექტორებზე. მიიღებიან ყმაწვილები, რომლებმაც დაასრულეს საშუალო სკოლის IV კლასი და წარმატებით გაიარეს შესარჩევ გამოცდებს.

ვაჟები სწავლების ბოლო წელიწ